პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული გაზეთი

1934 წ. სექტემბრის 30. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ექვსდღიური ორგანო ფასი 30 კ. № 17

ინ.№575
ეროვნული ბიბლიოთეკა
1934
ბ. ბარბისის სახ. სახ. საბჭოთა რესპუბლიკური ბიბლიოთეკა
თბილისი

სექტემბრის 30

რაც კაცობრიობას თავი ახსოვს, ხალხს სამშობლო არა ჰქონია.

თუმცა მრავალ საუკუნეთა მანძილზე სამშობლოს სახელით უამრავი სისხლი დაღვრილა უმანკო ხალხისა.

მთელი დედა-მიწის ზურგი მათი ძვლებით არის მოკენჭილი.

ძველ სემირამიდას ბაღებს, ეფრატის ნაპირებს, ნილოსის კიდეებს, ტიბროსსა და ხმელთა-შუა ზღვის არქიპელაგს შეუძლია მოგვითხროს და განა მარტო ამათ, თვით მტკვრისა და რიონის ნაპირებიც დღესაც სევდიანათ ბგერენ ამ სისხლიან მატიანეს

უსამშობლო ხალხისა.

სამშობლო მუდამ გაბატონებულ კლასის კუთვნილებას შეადგენდა.

ასე იყო პატრიარქატის, ფეოდალიზმის, აბსოლიუტიზმის დროს, ასე არის ამჟამად კაპიტალისტურ ქვეყნებში.

იქ პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს.

უფლებამოსილი კლასი მუდამ თავისად სთვლიდა სამშობლოს, ის იყო მისი საფარი, მისი გაღვიძებული მადის გარეგან მომკაზმველი, ხალხის მოსატყუარი.

სამშობლოს სახელით ესხმებოდა ერთი სახელმწიფოს ხელმძღვანელი ჯგუფი მეორე სახელმწიფოს.

ხალხიდან კი გამოდიოდა მონა, ყმა, მუშა.

და როდესაც აღივსებოდა ამ მონების მოთმინების ფიალა,— აჯანყდებოდნენ. მხოლოდ ისინი არ იბრძოდნენ ბატონების სამშობლოს გულისათვის.

ასე იყო ანტიურ ქვეყნებში: ეგვიპტეში, ბაბილონში, რომში.

არც ყმათა აჯანყებას ჰქონდა საფუძვლად იმ სამშობლოს სიყვარული, რომელსაც ფუფუნებაში მყოფნი ქადაგებდნენ.

ასეთი ხასიათისაა, მაგალითისათვის, საფრანგეთის ჟაკერია და თუნდა საქართველოშიაც მეცხრამეტე საუკუნის გლეხთა აჯანყებანი— გურიაში 1841 წ. და სამეგრელოში 1857 წ.

საუკუნოების სიღრმიდან ხალხი ეძებს ამ სამშობლოს...

მისი მოპოების მოურევნელი სურვილი ფერფლ-გადაყრილ ღადარივით მრავალ-საუკუნეთა მანძილზე თითქო შეუჩნევლად ენთო კაცობრიობის უმრავლესობის გულში.

მაგრამ გადაიწმინდა ეს ცეცხლი.

და გაჩნდა კერა კაცობრიობის დიდი ოჯახის სამშობლოსი.

ეს კერა ჩვენშია. საბჭოთა კავშირში.

და რამოდენიმე ასეული მილიონი თვალი დაჩაგრულთა, დამონებულთა, კაპიტალიზმის ტყვეობაში მყოფთა აქეთ იყურება, ამ სამშობლოსაკენ.

სამშობლო!

ახლა უკვე ეს სიტყვა იწმინდება მწიკვლისაგან. იგი აღარ არის გათქერილი არც ფეოდალების და არც ბურჟუაზიის ყალთაბანდობით.

იგი წმინდაა, ანკარა. მან მხოლოდ ეხლა მოიპოვა თავისი ნამდვილი და ფართო მნიშვნელობა. იგი აღარ ზის ვიწრო ნაჭუჭში.

იგი უკვე ბრწყინავს პროლეტარიატის გულში, რადგან მან იცის, რომ პროლეტარიატმა მართლა მოიპოვა თავის სამშობლო.

შალვა დადიანი

აახმაურე შენი მდინარეები...

დავით სულიაშვილი

ისევ შენთან ვარ! კვალად გიხილე!

და მე მინდა სადიდებელი ჰიმნი შეგასხა შენ ძლიერო ჩემო, ვინაიდან შენ ხარ მკურნალი ჩემი, გენია და ცეცხლი ჩემი! შენ ხარ აღმაფრთოვანებელი ჩემი! ჩენ ხარ დასაწყისი და დასასრული ჩემი!...

აღიღინდი ჩემო გულო და უგალობდე მხოლოდ მას! გიყვარდეს იგი მუდამ ჟამს და გმირად ხდებოდე მისთვის საჭირო წამს!...

აი, მოვსულვარ შენთან მტკვარო
დიადო არა ისე, როგორც წინად—
... „ქართველსა გულმან როგორ
გაუძლოს,
ოდეს შვენება თქვენი იხილოს
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩა-
მოხდეს,
რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს!..
როგორ იქნება არ განისვენოს!..
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს
ღვინოს?
ცხენს მოაძოებს, თვალს მოა-
ტყუებს,
გამოიღვიძებს—შუბლს განიგრი-
ლებს,
ერთს ქართველურად კიდევ შეჰ-
ძახებს
არაგვო მაგ შენს გამწვანებულს
მთებს
და მერე თუნდაც დაუგვიანდეს
იგი ამისთვის აღარ დაღონდეს!.. “

არა!.. ახლა ჩვენ ცხენებით კი არა—ზღაპრული რაშებით ვიარებით... ვეღარც დასასვენებლად და ღვინის სასმელად მოგვიცლია და ისე ვეშურებით, რომ დაგვიანება არ შეგვიძლია!..

ახლა, როდესაც ასეთი დიადი და მაღალი ხარ, ჩემო მშვენიერო, სამშობლო ჩემო, —როცა შენი ტალღებიდან ამუშავებული ენერგია ნაპერწკლებს აფრქვევს წყვდიადის დასათრგუნათ, როცა შენი ჩანჩქერისგან მიღებული დენი შორს მეზობელ მხარეს, მეორე მოძძეს გადახვევია ხალისის და ძმობის განსამტკიცებლათ, როცა ეს მიღწეული სიდიადენი სხვას კი არა, —ჩვენ მშრომელებს, დაკარწახებულ მკლავიანებს გვეკუთვნის ჩვენი ყოფის გასაძლიერებლათ,— ხომ ხედავ რა ამაყი, რა ძლიერი ვარ, დიდებულო ჩემო!..

კვალად შენთან ვართ, საყვარელო ჩემო, შოთას ამაღლებული ნიჭის პატრონო, ფოლადის წყარო და მშრომელთა შეერთებული უნარის გზით მსვლელო!..

ამიერიდან შენ გიგალობ დიადო ჩემო! სალამი შენდა ჩემის სევდის გამქარვებელო!..

ახლა, როდესაც შენი მთის კალთები დედის ძუძუსავით გადმოგვიშლიან შენი საუკუნოებით დახშულ სიმდიდრის წყაროებს, როცა კლდეებიდან მომჩქეფარე მდინარეები, ასე შორიდან ქარხნებში მოვარდნილი,—შუბლს უგრილებს იქ მომუშავე შენს შვილებს, როცა უჟმურ ჭაობების დაშრობით ოფლით და შრომით გაპოხიერებული მიწა კვლავ შვებას აძლევს მშრომელებს — ვფიცავ გმირულ ბრძოლებში დაღუპულთა ანდერძის ძალას, შენს კეთილდღეობას შევწირო ჩემი აღგზნებული გული!..

ახლა ხომ ჩემი ხარ, ჩემი!.. და მე ამაყი ვარ შენის მზერით დიდებულო ჩემო!.. სვიანი ვარ შენს მაღალ ქედებს რომ გავცქერი და ამაღლებული, საყვარელო ჩემო, სიმღერა გამარჯვებისა რომ შემომესმის!..

აგერ მე ვდგევარ მთის მწვერვალზე და ვხედავ ახალ ქალაქებს, ჩვენი ძალით აღმოცენებულებს; აგერ იქით, ტრიალ მინდორზე გლეხების შრომას, გაოფლიანებული გულმკერდით რომ იშორებენ ძველ ბოღმას; ახალგაზრდებს, აღფრთოვანებული თვალებით რომ ტკბებიან აწმყოთი და მომავლით; ვხედავ რაშის ფრთიან მატარებლებს და ზღაპრულ ხალიჩასავით გაფრენილ აეროპლანებს...

და აი, ახლა ფიცსა ვდებ ჩემო მშვენიერო,—მძლავრი მკლავებით განსპეტაკებულო, დაუდგრომელი შრომით ამაღლებულო, იმედიანო და მომავლის მზის სხივებით გაცისკროვნებულო, რომ შენის კეთილდღეობისთვის არ დავიშურო ჩემი ძალღონე, ჩემი სიცოცხლე!..

კვლავ ვფიცავ შენს მაღალ მთებს, მოცინარე მდინარეებით დასერილს, სპეტაკ მდელოს—ჩვენი ძალებით დახნულ - დამშვენებულს; დინჯად მიმდინარე მტკვარს წყვდიადის დასათრგუნათ სხივოსან ჩიტებს რომ გვიგზავნის,—რომ ერთხელაც არ შევდრკე დაბრკოლებებთან ბრძოლაში და ქედმაღალი წარვდგე მომავლის წინაშე!

გესმის მეურმის სიმღერა ორღობეში?.. ისე კი აღარ მღერის, როგორც წინად მოდუნებული, მიწყნარებულ მიდამოში რომ ხარებს გადაკრავდა და ნაღვლიანად დაამღერდა:

მთაო გადმიშვი, გადმიშვი
რა ნისლი მოგიხვევია,
შენს იქით ჩემი ძიჯნური,
სხვას ვისმეს ჩაუხვევია!..

ახლა ის მეურმე მთას გადასულა და სატრფო იგი გულში „ჩაუხვევია“...

ეს ხომ შენ ხარ ჩემო აღმაფრთოვანებელო, დიდებულო ჩემო სამშობლოვ!..

„ათჯერ და ასჯერაც უცდიათ მშრომელებს საუკუნეების განმავლობაში ჩამოეგდოთ დამჩაგვრელები და გამხდარიყვენ მდგომარეობის პატრონი, მაგრამ ყოველთვის დამარცხებულნი, შერცხვენილნი იძულებული იყვენ უკან დაეხიათ და გულში შეენახათ დამცირება, შეურაცყოფა, სიძულვილი და სასოწარკვეთილება და გამოუცნობ ცისკენ მიეპყროთ თვალები, სადაც ისინი განთავისუფლებას ელოდენ!!.

და აი, მხოლოდ ერთხელ შესძლეს მათ შეესრულებინათ საუკუნეების განმავლობაში ბოღმითა და გესლით აღვსილი გულის წადილი!!.

და—აღსრულდა!..

სამშობლო იგი სხვის მიერ გაპარტახებული, სხვის ტყვეობაში მყოფი —ეხლა შენია, შენ მიერ მოპოებული მშრომელო ქართველო, და... გაიხარე ჩემო გულო!..

ახლა კვალად შენთან ვარ სამშობლო ჩემო, ცრემლისა და სევდის გამქარვებელო!..

ჰოოპუნა!.. ჰოოპუნა!.. აგერ გაისმის შენს მინდვრებზე შეერთებულ გლეხთა სიმღერა!

ჰოოპუნა! ჰოოპუნა!.. ხედავ რა ძლიერია მუშაობა ერთობლივი, მხნეობა და უნარი შეერთებული!..

ჰოოპუნა! ჰოოპუნა!.. მოჰყავთ სამკალი ოფლით გაპოხიერებული!.

ეს ხომ შრომაა სიმხიარულედ გადაქცეული!

და გაიხარე ჩემო გულო!

ახლა ხომ აღარ არის—„სავანე ბედკრულთა და ჩაგრულთა ცივი ციმბირი“—შენს შვილებს რომ შენი მოპოებისთვის სამარედ ექცეოდათ ხოლმე...

და აი, როცა უკვე ვიხილე პირველი სხივი შენი დიდებულებისა, ერთად-ერთო სამშობლოვ ჩემო, შენ გიგალობ ჰიმნს ჩემო მშვენიერო!..

აახმაურე შენი გიჟმაჟი მდინარეები, მაღალ მთებიდან თეთრ ქაფად კლდეს რომ ეჯახებიან, ააჭიკჭიკე შენი ფრინველნი, ტყეებში რომ მხიარულად დანავარდობენ, შრიალი აუყენე შენს ვერხვის ფოთლებს და გული ჩემი დამიამე...

გაიხარე გულო ჩემო!..

ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!

ალიო მაშაშვილი

„ხარკოვში სატრაქტორო ქარხნის დათვალიერების დროს ერთი მუშა მიესალმა ერნსტ ტოლერს. ის ტოლერის ძველი ამხანაგი აღმოჩნდა, რომელიც მასთან ერთად იბრძოდა რევოლუციური დროების ქვეშ დახაუში.“

„კომუნისტი“ 28 სექტემბერი, 1934 წ.

აი, მოსულა უცხო მხარიდან
თანამებრძოლი კლასის მწერალი,
სდგას ქარხანაში და უხარია
ჩვენი სიმდიდრე და მიღწევანი!
— ერნსტ ტოლერ! უცებ მოესმა სტუმარს
გაუბრწყინდება ცეცხლებ თვალები,
შედგება, იცნობს მუშას და ძმურად
გადაეხვევა აღფრთოვანებით!
— შენც აქ? მხოლოდ ეს იყო პასუხი,
თვალებს მოასკდა ცრემლი ღვარულად,
და მოაგონდა ძველი წარსული
სისხლის წვეთებით რომ დაღარულა!
ერთად შობილან, ერთად იბრძოდენ
გაველურებულ მტრის წინააღმდეგ,
ერთად გასულან ცეცხლში, სიცოცხლეს
საკაცობრიო საქმეს სწირავდენ,
ეს მაშინ, როცა აოხრებული
ხალხი ჩიოდა სიკვდილს და სიმშილს,
სად „კაცი მასსა“ ამბოხებული
ძველ გერმანიას აღრჩობდა სისხლში.
იბრძოდენ, დროშაც ეჭირათ მაღლა,
მტრის წინ უშიშრად ანთებდენ კოცონს,
ბარიკადებზე დამარცხდენ, მაგრამ
მაინც ყვიროდენ: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“!
მას შემდეგ: ცეცხლით დამწვარ დახაუს
აღრჩობდა ჟამი სისხლის, მხეცობის,
თექვსმეტი წელი აღარ უნახავს
თავის ერთგული თანამებრძოლი!
გამოქცევია სამშობლოს, ღალატს
მაღაროების ჭერქვეშ მშრომელი,
სოციალისტური შრომის ქვეყანა
შეჭყვარებია, როგორც მშობელი!
ახლა: ღიმილით აბრუნებს დაზგას
შვილივით უვლის ქარხნებს, მანქანებს,
საბჭოთა ქვეყნის ყოველი გაზრდა
საკუთარ ზრდაზე უფრო ახარებს!

სექტემბრის 28

საერთაშორისო სოციალიზმთან კავშირის განმტკიცების ინტერესებისათვის
სავალდებულოა სოციალისტური სამშობლოს დაცვა
ლენინი

ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს ყველა ქვეყნის პროლეტარიატის
დამკვრელ ბრიგადას
სტალინი

საბჭოთა კავშირი — ჩვენი ინტერნაციონალური სამშობლოა
რომენ როლანი

ფიცი უცნობ ამხანაგის საფლავზე

შალვა შავგულიძე

როდესაც იგი, მოკლე შარვლიანი პატარა ბიჭი, ამაყად მიაბიჯებდა ქუჩაზე, მე ვხედავდი ფანჯრიდან გადმომდგარ ფილისტერის ირონიულ ღიმილს. „კომუნისტური ჯეჯილი“—გველივით სისინებდა ფილისტერი და მესმოდა ღვარძლიანი, შიგნეულიდან ამოხეთქილი ხითხითი. შემდეგ ხშირად დავფიქრებულვარ ამაზე. ასეთი ხითხითი მხოლოდ შემოდგომის ბუზის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს შეუძლია.

„კომუნისტური ჯეჯილი“?

მაგრამ ნორჩი მუხაც ხომ სუსტია, ვიდრე წელს გაიმართავდეს?! წილე, უშიშარი ჯარისკაცი. მაგრამ რა გითხრა შენ, ამხანაგო, შენ, რომელსაც გძინავს ფართოდ გათხრილ ძმურ საფლავში! შენი რომანი თვით ცხოვრებამ დაწერა. აქ დუმდება მთრთოლვარე ბაგე და იყინება სიტყვა.

უცნაურმა აზრმა გამიელვა: ის წითელი ყელსახვევი, რომელიც მიმაგრებული იყო საფლავის თეთრ ქვაზე, უეცრად ისხამს არწივის ფრთებს. ერთ წუთს ინაბება. შემდეგ გიჟურად აიჭრება სივრცეში, შემოხაზავს გამოსათხოვარ წრეს და გაიშლება, როგორც საომარი მოწოდება. იგი ხვალ, ხეგ, ძოახდეხ თავგახწირვის ნამდვილ სასწაულებს იმის სახელით, ვისაც ახლა ძინავს განიერ ძმურ საფლავში საუკუნო ძილით, ვისი სისხლითაც შეღებილია საშშობლოს ველები და მდინარეები, მთები და საზღვრები.



ფიცი უცნობ ამხანაგის საფლავზე. გრავიურა ი. ტიმოფეევისა

ის იყო სულ ცხრამეტი წლის ჭაბუკი, ჰქონდა ლამაზი ლურჯი თვალები. გარდა ამისა? გარდა ამისა, უყვარდა ფეხბურთი და მხიარული, ბავშური სიცილი. მარტო ამისთვისაა მისი საფლავი შთამაგონებელი ჩვენთვის? არა, სრულიადაც არა!

ნელა, სულ ნელა მიუახლოვდეთ სახელოვან ადგილს, მივუახლოვდეთ იმისთვის, რომ ერთი წუთით თავისუფლება მივსცეთ ყელში მობჯენილ ბოღმას, მტრისადმი შურისძიების ცეცხლს და მოგონებებს. შევხედავთ ცას, ვარსკვლავებს, იმათ, რომლებიც ახლა დედაქალაქის წითელ მოედანს დაჰყურებენ. მერე? მერე ჩვენ ვიმღერებთ „გამოხრულ ძვალთა ფლეიტის“ ხმაზე, ვიმღერებთ და ეს გადავა თაობიდან თაობაში იმიტომ, რომ იგი იქნება ახალგაზრდა გმირის ნათქვამი სიმღერა, რომელმაც იცოდა, რომ აუცილებლად დაღუპვა მოელოდა, თუ წავიდოდა, მაგრამ მაინც წავიდა...

არ მესმის, როგორ შეიძლებოდა გამეგო ეს, მაგრამ მე ვიცნობ უცნობი ამხანაგის დღიურს. გახსოვთ ბრესტის ზავის მღელვარე დღეები? ამით დაიწყება ყდაშემოცრეცილი რვეულის პირველი აბზაცი. მე არ მახსოვს, რადგან ჯერ კიდევ გუშინ მოკლე შარვლიანი ბიჭი ვიყავი. გახსოვთ ბატკო მახნო? არც ეს ჯოჯო მინახავს, თუმცა არა ერთხელ სიამოვნებით გამიხვრეტია ტირში მისი კარდონის შუბლი. მაინც პარტ-აქტივის ძუნწ ცნობებთან ერთად შევისუნთქე ამ დღეების სიმძაფრე და ახლაც მესმის ზარბაზნების ყრუ ქუხილი, ვხუჭავ თვალებს და ვხედავ წითელი გვარდიის მწკრივების ელვარებას. ჩვენს თვალწინ გაივლიან ისინი, ვინც ტანთგაუხდელი იძინებდა, ვინც იბრძოდა დღით და ღამით, ვინც ხიშტით იგერიებდა ბურჟუაზიას, რომელსაც ჩემი ახალგაზრდა სამშობლოს დახრჩობა უნდოდა. გაგიგეთ ჩემო მამებო, ძმებო... კარგად გაგიგეთ, თქვენ მაშინ იკვნეტდით ტუჩებს, რომ არ გეტირათ. არ გეტირათ თქვენ, მამაც ჯარისკაცებს, რომლებზეც ერთი თეთრგვარდიელი გენერალი გაბოროტებული სინანულით ამბობდა: „მომეცით მე ორმოცდაათი წითელი გვარდიელი და მოსკოვი ოცდაოთხ საათში ჩემს ხელში იქნებაო“.

●

ვინ იცის, იქნებ აქ შეწყდა უცნობი ამხანაგის დღიური. ამის გამორკვევა ახლა ძნელია. ეს არც უნდა ვინანოთ. ძან დაგვიტოვა უკვდავი ძეგლი. ეს არა მარტო ამობურცული გორაკია შორს, უდაბნოს ველზე. არა, ეს ძმური საფლავის წინაშე დახრილი ჩემი თაობის დროშებიცაა, დროშები, რომლებიც გაგვიძღვება ფრონტიდან ფრონტზე.

— მე გიცნობ შენ—ცელქი ღიმილით ეტყვის ამ უცნობ ამხანაგს კომკავშირელი გოგონა და უკან გადიყრის ხუჭუჭა თმებს...

— გოგონავ, შეხედე თავზე გვაწვება ქარიშხლის ღრუბლები. არ გიფიქრიათ ამაზე? გაუტაცნიხართ? მე მინდა ველად გაჭრილმა ქარმა აგიშალოს თმები, გააღეთ ფანჯარა! დაუკვირდით იმ მსრბოლავ ღრუბლებს. გასაოცარი სიმბოლოა. ჩემი ცხოვრების ნავი ყრმობიდანვე იჭედებოდა ბხელ ხევებში. მაგრამ იგი იჭედებოდა არა წყნარი ნავთსადგურებისა და ჭაობიანი ადგილებისათვის, არამედ ვრცელი ზღვებისა და მღელვარე ოკეანეებისათვის. იყოს სუსხიანი დღეები და ღამეები, მძლავრი ქარიშხალის ღრიალი. იგი კიდევ უფრო დამეხმარება გავჭიმო იალქანი, კიდევ უფრო დამეხმარება შევცურო აბობოქრებული ზღვის შუაგულში. გზა არ არის ვარდისფერი? ვიცი, გოგონავ. მაინც წავალ! ჩვენ არ ვეკუთვნით დონდლო ადამიანთა წყებას, მთელი ჩვენი არსებით გვძულს მტრები, ფლიდები, იდეებით მოვაჭრენი და პოლიტიკური ჯამბაზები. და განა შენც, ჩემო გოგონავ, არ გძულს ისინი იმ გოგონას აღშფოთებული სიძულვილით, რომელსაც მკერდში უცემს ჩვიდმეტი წლის სიცოცხლე? განა შენც ჩემთანვე გვერდით არ ეკვეთები ამ მტერს, წამოსულს ჩვენზე, უცნობი ამხანაგის საფლავის შეურაცმყოფელს?! საშიშია ზღვა? ვნახავთ ზღვის მარილიანი ქაფის გიჟურ ავარდნას. დეე, ეს იყოს მკაცრი გამოცდა. იქიდან დაბრუნდები, შეიძლება აფრაჩაწყვეტილი, დამსხვრეული, გვერდებშემტვრეული ნავით, მაგრამ სულით მტკიცე და უფრო გაკაჟებული, უფრო ახალგაზრდა...

●

... ახლა მას მშვიდად ძინავს განიერ ძმურ საფლავში. მდუმარედ დავცქერი ამ გორაკს და მამშვიდებს მხოლოდ ამის შეგნება: ამ წუთში რაიმე მოქმედების ენარი რომ ჰქონდეს მას, ჰაერში აღმართავდა სისხლიან მუშტს და მაშინ ბულბულიც კი შესწყვეტდა კვნესას, ოხრად შობილან ქალაქის პირად,
სად სიბნელე-და სიმშილი ცხოვრობს,
მათ არ იციან კარი და ბინა,
მათ სიმშილობა იციან მხოლოდ.
მზის ცხოველმყოფელ სხივებს
მოკლებულს
სიცოცხლის დღეებს რა გაახარებს?
ასეა: ტანჯულთ და ამბოხებულთ
არ გააჩნიათ სამშობლო მხარე!

ოხრად შობილან ბნელში, ძაღლივით
ქუჩის ნაგავით ილუკმებიან,
ოხერ მიწაში ცოცხლად ჩაყრილი
მაღაროს ჭერქვეშ ილუპებიან,
შემდეგ იქიდან კვდრად ამოღებულს
შავქვებთან ერთად გაყრიან გარეთ,
ასეა: ტანჯულთ და ამბოხებულთ
არ გააჩნიათ სამშობლო მხარე!

დაწანწალებენ მუდამ მშიერნი,
ბევრჯერ გროშადაც არ საღდებიან,
ქუჩის ნაგვემი და ნაშიერნი
სადმე საძაგლად ჩაძაღლდებიან.

ან ჩამარხავენ თხრილში ჯოხებით,
ან მაღი ლეში გაიღლებს ყვავებს,
ასეა: ტანჯულთ და ამბოხებულთ
არ გააჩნიათ სამშობლო მხარე!

მათთვის სამშობლო მტერია მხოლოდ,
მათ გაჭირვებას როდი განიცდის,
წავლენ, შრომობენ ქალაქის ბოლოს,
შრომობენ, მაგრამ არა თავისთვის.
წავლენ, სტოვებენ სახლს აოხრებულს,
ღვრიან სხვებისთვის—ცხელ ოფლის
ღვარებს,
ასეა: ტანჯულთ და ამბოხებულთ
არ გააჩნიათ სამშობლო მხარე!

მათ ულმობელი ცხოვრებაც ჩაგრავს,
რომ მის კანონებს ხელი არ ახონ,
ლუკმა პურისთვის იბრძვიან, მაგრამ
უუფლებო და უიარაღოთ.
დრო გადის, ქვეყნის დარდი და ბოღმა,
სიცოცხლის დღეებს უდროოდ ხრავენ,
ასეა: ტანჯულთ და ამბოხებულთ
არ გააჩნიათ სამშობლო მხარე!

ჟან-ბაპტისტ-კლემანი (1837—1903) ახალგაზრდობაში ხელოსანი, შემდეგ—პროფესიონალი პოეტი და ჟურნალისტი.

კლემანი თვალსაჩინო მონაწილეობას ღებულობდა პარიზის კომუნაში და იყო იაკობინურ - ბლანკისტური „უმრავლესობის“ მომხრე. იბრძოდა ბარიკადებზე პარიზში ვერსალელების შესვლის წინ, მხოლოდ რამდენიმე წუთით ადრე დასტოვა პარიზი, თავი შეაფარა ჯერ გერმანიას, ხოლო შემდეგ ინგლისს, სადაც მან მონაწილეობა მიიღო პირველი ინტერნაციონალის ფრანგულ სექციაში.

კლემანის ლექსს ვბეჭდავთ, როგორც სამშობლოს საკითხებისადმი მაშინდელი პროლეტარიატის დამოკიდებულების ტიპიურ ნიმუშს.

უსამშობლონი

ჟან-ბაპტისტ-კლემან

თარგმანი - ალიო მაშაშვილის



ჭიათურის მაღაროში. მხატვ. დავით ქუთათელაძე

მოიხედეთ ირგვლივ, თავს ძალა დაატანეთ და თქვით, იცნობს ისტორია ამ ჯიშის ჯეჯილს? მძლავრი გრიგალი თხრიდა დამპალ ჯირკვებს, აყირავებდა მთებს, მაგრამ ამ ნორჩ ჯეჯილს ვერაფერი დააკლო. იყო სასტიკი ყინვა, სუსხიანი ქროლვა, ცხენის ფლოქვების თქარათქური, იყო კალიების უეცარი შემოსევა, თეთრი კავალერიის მრისხანე გადარბენა, მაგრამ ისინი მაინც ათასობით წევდენ მიწიდან თავს. ელვის სისწრაფით იყრიდნენ ტანს და მჭიდროდ ხელებგადახვეულები იზრდებოდნენ, ვაჟკაცდებოდნენ.

ჩვენი ფესვები გადგმულია არა ფაიფურის ჭურჭელში, არამედ იმ ვრცელ წიაღში, რომელიც მშობლიურ ქვეყანას გააჩნია. მიტომაც გავძლებთ ვულკანური წარმოშობის უკაცრიელ ქედებზედაც, მიტომაც შევიმატებთ უნახავ ძალას, ნებისყოფას და გამბედაობას.

ჩვენ ვიბრძვით ისე, როგორც არავის არ უბრძოლია! აქ შეიძლება რომელიმე ჩვენგანის დაღუპვა—ომია! შეიძლება წელში გადატეხა, თუმცა იაფად ეს არავის არ დაუჯდება, მაგრამ ჩვენი მოდრეკა შეუძლებელია...

იმათ კი, ვინც ჭრილობაშეუხვეველი მიდიოდა ფრონტიდან ფრონტზე, ვინც გმირულად დაეცა ამ ბრძოლაში, მხურვალედ ჩაიკრავს მშობლიურ მკერდში ჩემი სამშობლო, ესოდენ მრისხანე და თან ინტიმური.

და აჰა იგი აღარ არის. აღარ არის წითელი ლეგიონების მომავალი რკინის კომანდირი. მისი საფლავი გაითხარა სადღაც შორს, ქვიშიან უდაბნოში. უკანასკნელი გამოსათხოვარი სიმღერა მას უთხრა ველურად მოზუზუნე ქარმა.

●

მე რომ ვწერდე წიგნს მის შესახებ, ჩემს გმირს ვერ მოვკლავდი, ვერ მოვკლავდი, რადგან დიდია გზა, ბევრია სამუშაო, რადგან ჩვენ მხოლოდ შესანიშნავი წინასიტყვაობის შექმნა მოვასწარით. ნამდვილი ეპოსი კი ისევ წინ არის. მოვა ამის დრო ხვალ, ზეგ, იმის იქით... ჩვენ ვიქნებით ამ ეპოსის გმირი და უშუალო მონატორტმანებს უმოძრაო ჰაერს და აღვიძებს უდაბნოს ველურ მდგომარეობას.

ისტორიამ არ მოგვცა ჩვენ წყნარი სალონი, რომელიც შემაძრწუნებელ გრიგალს ეხმაურება, მხოლოდ იმით, რომ იქ რძესავით თეთრი ყვავილი ჰკარგავს ფერს და ჭკნება. ამიტომაცაა, რომ ბრძოლას არ ვიწყებთ მხოლოდ მაშინ, როცა სწავლას ვამთავრებთ, ჩვენ ვსწავლობთ ისე, როგორც ჩვენამდე არავის არ უსწავლია.

●

ისტორია არ გვიმზადებს კმაყოფილების ვარდისფერ დღეებს... საჭიროა თოფის წამალი მშრალად იყოს შენახული, ჩახმახი ფეხზე იყოს შეყენებული.

ჩვენ ბედნიერები ვართ მოვიყვანოთ ის გაზაფხული, ლირიკას რომ გაფურჩქვნის, შევქმნათ ის ცხოვრება, ყვავილებს რომ დაუწყებენ კრეფას. მაგრამ ახლა მხოლოდ ყვავილების დრო არ არის. ასეთია ლოგიკა. თვითონ ცხოვრება მოითხოვს რახმეტოვის ლურსმნებს. აქ იქნება ტკივილები. ჩვენ ამას ავიტანთ. იქნება ცეცხლით გამოცდა. გაუძლებთ! მაშ რიღასთვის ვარსებობთ? ჩვენ სხვა მასალის და სხვა აგებულების ვაჟები და ქალიშვილები ვართ, ჩვენ ის ახალგაზრდობა ვართ, ნადირის რძით რომ გაგვზარდა მშობელმა ქვეყანამ. ჩვენ ის ვართ, ლენინის მოდგმას რომ უწოდებენ.

მაინც მაკვირვებს: საიდანაა ეს ჩუმი ცრემლები? მოდით, ამხანაგებო, ვიყოთ გულწრფელი, გამოვტყდეთ. ვიცი ყველა ჩვენთაგანი დიდ ხანს დგას დადუმებული უცნობი ამხანაგის საფლავის წინაშე და შეუმჩნევლად ცრემლებს ვიმშრალებთ. რა არის ეს? გლოვა? სისუსტე? ო, არა! არც ერთი, არც მეორე! სისხლი აწვება სახეზე ჩემი თაობის ყველა წევრს, როცა იგი დაღუპულ ამხანაგზე ფიქრობს. სად არის ის? იგი აღარ არის. არის ოდნავ ამობურცული გორაკი, სადღაც უდაბნოში, არის კიდევ წითელი ყელსახვევი, არწივის ფრთებივით რომ ირხევა და აშფოთებს სულს, ამ სახელოვან გორაკს ამჩნევ შენ მამაცი შვილის ქვეყანავ, შენ, ჩემო თაობავ. მაგრამ შენი ურყევი რწმენა, შენი იმედი ისაა, რომ გადამწყვეტ შეტაკებებში ზღვებისა და ოკეანეებისათვის. ეს არც უნდა ვინანოთ. ძან დაგვიტოვა უკვდავი ძეგლი. ეს არა მარტო ამობურცული გორაკია შორს, უდაბნოს ველზე. არა, ეს ძმური საფლავის წინაშე დახრილი ჩემი თაობის დროშებიცაა, დროშები, რომლებიც გაგვიძღვება ფრონტიდან ფრონტზე.

— მე გიცნობ შენ—ცელქი ღიმილით ეტყვის ამ უცნობ ამხანაგს კომკავშირელი გოგონა და უკან გადიყრის ხუჭუჭა თმებს...

— გოგონავ, შეხედე თავზე გვაწვება ქარიშხლის ღრუბლები. არ გიფიქრიათ ამაზე? გაუტაცნიხართ? მე მინდა ველად გაჭრილმა ქარმა აგიშალოს თმები, გააღეთ ფანჯარა! დაუკვირდით იმ მსრბოლავ ღრუბლებს. გასაოცარი სიმბოლოა. ჩემი ცხოვრების ნავი ყრმობიდანვე იჭედებოდა ბხელ ხევებში. მაგრამ იგი იჭედებოდა არა წყნარი ნავთსადგურებისა და ჭაობიანი ადგილებისათვის, არამედ ვრცელი ზღვებისა და მღელვარე ოკეანეებისათვის. იყოს სუსხიანი დღეები და ღამეები, მძლავრი ქარიშხალის ღრიალი. იგი კიდევ უფრო დამეხმარება გავჭიმო იალქანი, კიდევ უფრო დამეხმარება შევცურო აბობოქრებული ზღვის შუაგულში. გზა არ არის ვარდისფერი? ვიცი, გოგონავ. მაინც წავალ! ჩვენ არ ვეკუთვნით დონდლო ადამიანთა წყებას, მთელი ჩვენი არსებით გვძულს მტრები, ფლიდები, იდეებით მოვაჭრენი და პოლიტიკური ჯამბაზები. და განა შენც, ჩემო გოგონავ, არ გძულს ისინი იმ გოგონას აღშფოთებული სიძულვილით, რომელსაც მკერდში უცემს ჩვიდმეტი წლის სიცოცხლე? განა შენც ჩემთანვე გვერდით არ ეკვეთები ამ მტერს, წამოსულს ჩვენზე, უცნობი ამხანაგის საფლავის შეურაცმყოფელს?! საშიშია ზღვა? ვნახავთ ზღვის მარილიანი ქაფის გიჟურ ავარდნას. დეე, ეს იყოს მკაცრი გამოცდა. იქიდან დაბრუნდები, შეიძლება აფრაჩაწყვეტილი, დამსხვრეული, გვერდებშემტვრეული ნავით, მაგრამ სულით მტკიცე და უფრო გაკაჟებული, უფრო ახალგაზრდა...

●

... ახლა მას მშვიდად ძინავს განიერ ძმურ საფლავში. მდუმარედ დავცქერი ამ გორაკს და მამშვიდებს მხოლოდ ამის შეგნება: ამ წუთში რაიმე მოქმედების ენარი რომ ჰქონდეს მას, ჰაერში აღმართავდა სისხლიან მუშტს და მაშინ ბულბულიც კი შესწყვეტდა კვნესას, როცა იგი იტყოდა:—„ეკვეთეთ, ეკვეთეთ მტრებს, ამხანაგებო!“...

ნახეთ საერთო საცხოვრებელში ლამპის შუქზე ჩაფიქრებული სახეები, ქვეყნის მამაცი შვილები, ფრთოსანი კომკავშირის არწივები—ჩემო თაობავ! ისინი მზად არიან გამოგვეხმაურონ დაძახილზე. ბოლოს დადგება ის, საბოლოო ანგარიშის გასწორების საათი. ავიღებთ შაშხანას, დავიხურავთ ბუდიონოვკას და ყიჟინით წავალთ ცეცხლის ხაზზე, სანგრებისაკენ.

დეე, ის ჟრუანტელი, რომელსაც თვითეულ ჩვენგანში იწვევს დაღუპული ამხანაგის ჩამქრალი თვალების მოგონება, იყოს საომარი პაროლი:—ჩახმახი ფეხზეა შეყენებული!

დეე, მისი დადუმებული ბაგეების მოგონება იყოს გაფრთხილება იმისთვის, რომ მახვილი უფრო თავგამეტებით მოვიქნიოთ, რომ იგი ჭრიდეს უფრო ღრმად და სწრაფად.

ჩვენ ვართ არა მისტიკოსები, არამედ რევოლუციის ვნებიანი ჭაბუკები: არ გვწამს არავითარი მაგიური ძალა, მაგრამ ეს მაინც ასეა.—მინდა დაუძახო მას: ნუ მორცხვობ, ამხანაგო! შენ ისევ იბრძოლებ, ისევ გადაიქროლებ გრიგალივით სამშობლოს ველებზე ჩვენთან ერთად, ჩვენს გვერდით, ისევ ვნახავთ მტრის ზურგს, ისევ გაიგონებს შენს ვაჟკაცურ ყიჟინას სამშობლოს ცა და ვარსკვლავები.

ეს ვიქნებით ჩვენ, რუხშინელიანი ბიჭები.

სხვა გზა ჩვენთვის არ არსებობს.

ჩემი საპოლიტიკო

კარლ რადეკი

თარგმანი კონსტანტინე ლოკოთაძისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომაა ჩემი სამშობლო? მე არ დავბადებულვარ პოვოლოჟიეში, არც კავკასიის მთებში და არც ციმბირის ველებზე. როცა პეიზაჟი მესიზმრება, მე ვხედავ ტარნოვიდან ოცდაათი ვერსით დაშორებულ სოფლებს—ჩეგოტიცის ან დემბოჟინის გორაკებს. და როცა შარშან საღამოჟამს მეხოვიდან გზად გავლისას კრაკოვს მივადექი და უცქეროდი მზის ჩასვლას, მეჩვენებოდა, რომ უფრო ლამაზი არემარე არსად არ იყო. და დედაჩემს არ უმღერია ჩემთვის: „იყო და არა იყო რა, ბებიას ყავდა ნაცრისფერი თხა.“ იგი მიმღეროდა, რომ ნაცრისფერი მდინარე ვისლა მიეშურება შორეულ ზღვისკენ. როცა მეხსიერება სახეებს ჩამჩურჩულებს, მაშინ ეგ სახეები არა პუშკინდანაა, არამედ მიცკევიჩიდან. და როცა ქალს საალერსო სიტყვები მინდა ვუთხრა, მაშინ ენაზე პოლონური სიტყვები მადგება.

მაგრამ რევოლუციის სქემებზე, მუშათა მოძრაობაზე უკანასკნელ წლებამდე მე ვფიქრობდი გერმანულად, ვინაიდან ჩემი დეზები გერმანიის მუშათა მოძრაობაში შევიძინე.

კონტალის კონფერენციაზე სამი მანდატი მქონდა: პოლონური, გერმანული და ჰოლანდიური. ვლადიმერ ილიჩმა სიცილით მითხრა: „რაც არ უნდა იყოს, კარგ ინტერნაციონალისტს სამშობლო მაინც უნდა ჰქონდესო“. და აჰა, მე იგი მაქვს: საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირი.

●

საბჭოთა კავშირი მთელი ქვეყნის მშრომელთა სამშობლოა. ეს სიტყვები ათას წერილში და გამოსვლაში მეორდება და ბევრი ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ სიტყვებია. მაგრამ საკმარისია მცირე ხნით დაჰყოთ სადმე საზღვარგარეთ, სადაც მძიმე ბრძოლა მიმდინარეობს, საკმარისია ესაუბროთ ჭერქვეშელ მუშათა ჯგუფს, ან თუნდაც შემოხვევით შემხვედრს, რომ დაინახოთ, რა უზარმაზარია ჩვენი სამშობლო. ამას წინათ, მე მიჩვენებდენ პატარა სპეციალურ ჟურნალს, რომელიც კუნძულ კუბაზე იცემა და სადაც თავსდება საბჭოთა კავშირის შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი წერილები, რომელიც კი გამოსულა მსოფლიო პრესაში.

რომელიღაც ჩვენთვის უცნობი ხალხი სულით და გულით ეძებდენ ჩვენს სამშობლოს, რათა მისი შვილები გამხდარიყვნენ. ღირდა რომ ოდესმე გამოქვეყნებულიყო წერილები, რომლებსაც ჩვენი რადიო-გადაცემა იღებს უცხო ენებზე მსოფლიოს ყველაზე მივარდნილ კუთხეებიდან. იავას კუნძულებზე და ავსტრალიაში არიან გულწრფელი საბჭოთა პატრიოტები.

მაგრამ არა ამაზე მინდოდა მელაპარაკნა, როცა ვსთქვი, რომ საჩვენი მშობლო ყველა მშრომელთა სამშობლოა-მეთქი. ყოველ სამშობლოს უფლება აქვს თავისი ისტორია ჰქონდეს. და თუ სამშობლო ახლადწარმოშობილია, მაშინ მას ახლადგამოჩეკილი ისტორიკოსები მოუგონებენ ამ ისტორიას ისევე, როგორც რომელიმე გაიძვერას ფულისთვის უგონებენ ღერბიან წინაპრებს. მაჩჩის ჩანაწერების მიხედვით ჩვენი სამშობლო მხოლოდ ჩვიდმეტი წლისაა დაბადებიდან. მაგრამ მისი ისტორია უძველესია. ეგ არის ყველა დროის დაჩაგრული კლასების ისტორია.

როცა ცხრამეტ წელში, გერმანიაში, განმარტოებულ კამერაში ვიჯექი, ჩემმა ძველმა მეგობარმა, სოციალ-დემოკრატმა, კონრად გენიშმა, იმ ხანებში სოციალ-გამყიდველმა და შეიდემანის მთავრობის განათლების მინისტრმა, მომწერა, რომ, რახან შევცოდე, კიდევაც უნდა ვიჯდე, ხოლო წიგნებს კი არ დაიშურებდა ჩემთვის. და მეც ტელეფონის დარეკვისთანავე ვიღებდი აუარებელ წიგნებს სამეფო ბიბლიოთეკიდან. ჩემი კამერა უკეთილშობილესი აჩრდილებით გაივსო. კამერის კართან დარაჯობდა სალდათი კესელის ბრიგადიდან, რომელიც ატარებდა სასიამოვნო სახელს „მკვლელების ბრიგადა“. თვით კამერაში კი ჩემთან შექუჩთენ თომა მიუნცერი და მორუსიც, ინგლისელი დიგერები და კეთილშობილი გრაკხი ბაბეფი, ლუდისტების ბელადები, თვალდაუხამხამებლად რომ უგებებოდენ სიკვდილს და კატორღაში დახოცილი ჩარტისტები და ბლანკიც, რომელმაც პროლეტარიატი განთავისუფლების საქმისათვის ნახევარი სიცოცხლე ციხეში გაატარა. პარიზის კომუნარები და გერმანელი მუშებიც არალეგალური ლიტერატურის გადატანისათვის რომ იღუპებოდენ ბისმარკის საგანგებო კანონების დროს. და როგორც იმავე ოჯახის სხვადასხვა თაობას, კედლიდან დაგვყურებდა ლომთავა მარქსი.

მე დავეძებდი უძველესი ჩინეთის ისტორიაში მოხსენებულ ცნობებს ხალხთა წამებული მასების წარმოსადგენლებზე, იმ დახავსებულ დროში რომ კომუნიზმში ხედავდენ შველას, და ამიტომაც როგორც გიჟები ისე შევიდენ ისტორიულ ლეგენდაში, რომელიც იქმნებოდა ჩინელი მემამულეებისა, მანდარინებისა და ვაჭრების მიერ. მე ვპოულობდი ისლამის დარღვევის ისტორიაში, როგორ მიდიოდენ ათიათასები სპარსეთის საზღვრებთან კომუნიზმზე ოცნებისათვის ბრძოლაში და როგორ ულტდენ მათ მაშინდელი გაბატონებული კლასების წარმომადგენლები. ასეული და ათასეული წლების უკან მთელი ქვეყნის ხალხთა მასები და კაცობრიობის უდიდესი გენიალური წარმომადგენლები ხელის ცეცებით სინჯავდენ იმ გზას, რომელზედაც ოქტომბრის რევოლუციამ ასეული მილიონი გამოიყვანა მეფის ძველი იმპერიიდან.

და როცა მოვიდა ცნობა, დენიკინი უახლოვდება ორიოლს, იუდენიჩი პეტროგრადსო, როცა დღითა და ღამით მე ვუჯექი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ გაზეთებიდან ამოჭრილ, ერთმანეთის საწინააღმდეგო დეპეშებს და როცა ეცდილობდი გადამელახა დარკინული ფანჯარა და ფრონტები, რომ ვყოფილიყავი საბჭოთა კავშირის მებრძოლ ხალხთა მასებთან, მაშინ ჩემს გარშემო ჩვენი წინაპრები ირეოდენ, ინგლისის იმპერიის კანცლერი, თავის საუკუნის გონებამახვილი ადამიანი და საერთაშორისო წინააღმდეგობათა მცოდნე, თომა მორუსი, მიხსნიდა მე, რომ მტრები ვერ მოახერხებდენ ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანებას, ვინაიდან ისინი კერძო საკუთრებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაერევიანო. მიუნცერი კი მეუბნებოდა: „გონიერმა ლენინმა მუშათა კლასი გლეხობასთან დააკავშირა. ჩვენში კი რა ხდებოდა? დაიძრებოდა ხოლმე გლეხი,—ქალაქი ღალატობდა, დაიძრებოდა ხელოსანი — გლეხი მხარს არ უჭერდა“. „მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობაზე დაიმსხვრევიან მტრისა ძალები“—ჩამჩურჩულებდა იგი. და პარიზის კომუნარებიც მეუბნეოდენ: „ეგ შენ პარიზი არ ყოფილა, თქვენთან მთელი ქვეყანა წამოდგა, ვერ გაიმარჯოს ვერსალმა,“ ჩარტისტები კი ქებას უმღეროდენ ჩვენს უდიადეს პარტიას. მათი მასწავლებელი ობრაიენი კლასობრივ ბრძოლას ასწავლიდა მათ, მაგრამ იგი შეშინდა, როცა საჭირო იყო გაებედა სამოქალაქო ომის დაწყება. ლენინს კი არაფრის ეშინია და გამოიყვანს რუსეთის პროლეტერიატს—მონობის ქვეყნიდან.

მარქსი დარწმუნებულ სიმშვიდით დაგვყურებდა კედლიდან და კვერს უკრავდა თავის წინამორბედთა სიტყვებს.

წინ მედო თეთრგვარდიელთა გაზეთი „პრიზივი“, სადაც ლაპარაკობდენ, იუდენიჩის ჯარმა პეტროგრადი დაიკავა. ეს იყო კვირას. „პრიზივი“ იუწყებოდა, ორშაბათს ბერლინში რუსული საელჩოს ეკლესიაში გადახდილი იქნებოდა საზეიმო პარაკლისი, მაგრამ ჩვენი წინაპრების კეთილშობილი აჩრდილები მამშვიდებდენ მე, და ორშაბათს წავიკითხე, რომ გდოვთან ჩვენი კავალერია თავს უვლიდა იუდენიჩს. ჩვენი სამშობლო არა მარტო მათი სამშობლოა, ვინც ახლა შრომობს და იბრძვის კაპიტალის მონობის წინააღმდეგ, იგი აგებულია ყველას ფერფლზე და ძვლებზე, ვინაც იბრძოდა მშრომელთა განთავისუფლებისათვის რა ადგილას და რა დროში არ უნდა ეცხოვრათ მათ, ვინაიდან მათი დამარცხება-გამარჯვებათა გამოცდილება იყო ლენინის მიერ შესისხლხორცებული, გაანალიზებული, აღრიცხული და ჩვენი გამარჯვების საფუძვლად დადებული.

ტილ ულენშპიგელი მკერდზე ატარებდა ინკვიზიციის მიერ დამწვარ მამის ფერფლს და ეხმაროდა მას ყოველთვის, როცა ცხოვრება უძიმდებოდა.

●

დაე, ჩვენი საბჭოთა მიწის შვილებს ცოცხლად ყავდეს წარმოდგენილი ყველა, ვინც საუკუნეებით დღევანდლამდე ყველა ქვეყნებში ამზადებდა ჩვენს გამარჯვებას. მაგრამ...

„Есть и Руси чем гордиться,—
С нею не шути.
Только славным поклониться
Далеко итти.
Вестминистерское аббатство
Родины твоей—
Мир подземного богатства
Снеговых степей“.

და ეს ჩვენი ვესტმინსტერის საწინამძღვრო, რომლითაც ამაყობდა ნეკრასოვი, ეს არის ხალხთა მასების საქმისადმი ვაჟკაცობისა და ერთგულების ძეგლი, რომელიც არ ახსოვს ქვეყანას. ეს არის ჩერნიშევსკი—კატორღაში და ვილუისკში 20 წლის მარტოობაში თავისი არწივისებური აზრითა და ფოლადის რწმენით რომ ჩვენ ოდესმე მოვალთ და რომ მისი სახე საყვარელი იქნება ჩვენთვის. ეს არის ფალანგა ზემოვლოცების — ახალგაზრდობის, თავის ხელებით რომ ცდილობდენ დედამიწის ბურთის აწევას. და ის უკვდავი ნაროდოვოლოცების ლაშქარიც, მარტოდ-მარტო ოთახში შეეპარიც, მათი ერთგულება სახალხო საქმისადმი, მათი უმაგალითო ვაჟკაცობა ჩვენი პარტიის დამაარსებლის სისხლში შევიდა. ალექსანდრე ულიანოვის წამებამ ვლადიმერ ულიანოვის ნებისყოფა ამოზარდა.

და ასი ათასეულმა მეშუბემ შეისწავლეს რა რევოლუცია გაფიცვებში, დემონსტრაციებში, აჯანყებებში, ციხეში და გადასახლებაში, შესძლეს მეტი წარმატებით ეწარმოებიათ ბრძოლა, ვიდრე მას „ნაროდნაია ვოლია“-ს მარტოხელა გმირები აწარმოებდენ. მაგრამ ის ფაქტი, რომ ბოლშევიკური პარტია, მასიური მოძრაობის პარტია არასდროს არ ღალდობია თვითდინებას და რომ თანამედროვე კაცობრიობის ისტორიაში მან პირველმა კონკრეტულად დასვა და დაამუშავა საკითხი ხელისუფლების დაპყრობის შესახებ—ეს არა მარტო მარქსიდანაა, ეს „ნაროდნაია ვოლია“-დანაც მოდის.

ვესტმინსტერის საწინამძღვრო ლონდონში ორი ათეული ადამიანის სხეულს ინახავს, ბრიტანეთის იმპერიას რომ აშენებდენ. ჩვენი ვესტმინსტერის საწინამძღვრო უნდა გასწვდეს ჩვენი სამშობლოს ფუძემდებლების მრავალ ათეულ და ასაულ ათასებს.

კარგია ღამით თაროდან თანდათანობით იღებდე ჩვენი პროვინციალური პარტიისების გამოცემებს. არაა ისეთი კუთხე ჩვენი დიადი ქვეყნისა, სადაც ჩვენს მამებსა და ძმებს ყველაზე მძიმე დროშიდაც კი არ ჩაეწყოთ აგურები საბჭოთა რესპუბლიკის საძირკველში. იგი დგას მათ ძვლებზე, როგორც ბოძებზე და ეს ძვლები ყველგანაა, და არა ისტორიულმა შემთხვევამ გვაჩუქა ჩვენი სამშობლო, არამედ ასი ათასეული მებრძოლები ქმნიდენ მას სისხლითა და ოფლით, მაშინაც კი, როცა ხალხის რუსეთი ჯერ კიდევ მთლიანად არ ამდგარიყო უმაგალითო ლაშქრობისათვის. და ჩვენი ლეგიონები იქცენ არმიებად სამოქალაქო ომების დიად წლებში, როცა ძველი რუსეთი ჩვენ გავბანეთ ჩვენი გულების სისხლით და იგი გახდა წითელი. გახდა შორიდან-შორს დასანახ დროშად, ხალხთა წინაშე რომ ფრიალებს.

●

ჩვენი სამშობლო დიდია როგორც ნახევარი ქვეყანა და ჭაღარაა როგორც ყაზბეგის მწვერვალი, ვინაიდან მისმა ფესვებმა ტანი იყარა მთელი ტანჯული კაცობრიობის ბრძოლებში. მაგრამ წადით ფაბრიკებში, ნახეთ ახალმშენები, ლაბორატორიები, ჩამოიარეთ კოლმეურნეობები—რა ახალგაზრდაა, რა მშფოთვარეა ჩვენი სამშობლო! როცა მათ ხედავ, ჩემი სამშობლოს მშენებლების ამ ასეულ ათასებსა და მილიონებს—მაშინ გავიწყდება საკუთარი ხნოვანობა და გეჩვენება, რომ შენს წინ მთელი სიცოცხლეა კიდევ. უაღრესად მნიშვნელოვანი და ყველაზე ნამდვილი სიცოცხლის ნაწილი, ყველაფერი წინანდელი იყო მხოლოდ შესავალი.

დიადია და მრისხანე საქმე ნგრევისა. და ვისაც არ ეხერხება ძველი, სიცრუისა და ექსპლოატაციის ქვეყნის დანგრევა, იგი ვერ შეძლებს ახალი ქვეყნის შექმნას. და არაფერია უფრო თვალწარმტაცი, ვიდრე ხალხისათვის სახლების შენება, შენება ქარხნების, ფოლადის რელსებით რომ შეჭკრავენ მთელ სამშობლოს და სუფთა ტანსაცმელს ჩააცმევენ მას. და არაფერია უფრო თვალწარმტაცი, როგორც მრავალ მილიონ გლეხობის გამოყვანა საკუთმე ქოხებიდან, სიბნელიდან, რომ ასწავლო მათ მანქანით მიწის მოხვნა. ასწავლო რადიოსთან ჯდომა, სურათის ცქერა, წიგნის კითხვა. და როცა მე ვკითხულობ სახალხო გმირის—კალმიკოვის შესახებ, ყოველთვის ვფიქრობ ფაუსტზე, რომელმაც დაძლია რა ბუნება და დაასახლა დედამიწაზე თავისუფალი ადამიანები, სთქვა: „საოცარო წამო, მშვენიერი ხარ შენ! მაშ დაახანე, შეჩერდი.“

მაგრამ ჯალკოვებს ალბა „შეჩერდენ“, და ჩემი ახალგაზრდა სამშობლო ბრძოლაში, ბრძოლაში მიმავალს წინ დ შედგება ათეულ მილიონეულ ბრიგადებით, და ისინი გაბრწყინებულნი არიან დიადი იმედითა და ნებით, რომ შექმნან ცხოვრება ადამიანისისათვის ღირსეული. დ ამ ახალგაზრდა სამშობლოს გამარჯვების ისეთი რწმენა აქვს, რომელიც არ ჰქონია არც ერთ ხალხს არც ერთ ისტორიულ ეპოქაში.

ბობრიკოვის კომბინატში ყოფნის დროს მე შევჭერდი გიგანტურ ბრწყინვალე მანქანასთან. ჩიატანის ახალგაზრდა ქალიშვილი, თითქმის ბავში, მანქანას წმენდდა, გამაკვირვა მისმა ბავშურმა იერმა, საუბრიდან გავიგე, რომ იგი 18 წლისაა. საღამოობით ტექნიკურ კურსებზე დადის და იმედოვნებს, რომ ორ წელიწადში ჩაბარებს გამოცდებს და უმაღლეს სასწავლებელში შევა. „ინჟენერი ვიქნები!“—მითხრა აბსოლუტური სიმშვიდითა და დარწმუნებით. ასეთები — მარშალის კვერთხით ჩანთაში—ასი ათასებია, თუ არა მილიონი.

და როცა მე, თვალდახუჭული ვხედავ მათ, მხიარულად მიმავალებს, მძიმე ბრძოლაში რომ სძლევენ უმაღლეს მათემატიკას, მხოლოდ ერთი რამ მენატრება, რომ ამ ბავშებმა, ჩემი სამშობლოს მშენებლებმა, შესძლონ მისი აშენება ომის გარეშე. შესძლონ ომის გარეშე მოათავონ დიადი შენობა, შუქურასავით რომ იქნება მთელი ქვეყნის მშრომელთათვის.

მაგრამ ვაი მტერს, თუ იგი აიძულებს ამ თაობას ხელი მოჰკიდოს იარაღს აშენებულის დასაცავად, მაშინ ქვეყანაზე გადაივლის ქარიშხალი, რომელიც აღგავს ყველა მტრებს და ჩემი სამშობლოს შვილების წინაშე დადგება ისეთი ამოცანები, რომელსაც არ მოსწრებია არც ერთი თაობა, ვინაიდან ისინი გადასწვდებიან კონტინენტებს.

●

როცა 20 წელში მე გადავდიოდი პოლონეთ-საბჭოთა ფრონტზე, რამდენიმე დღის გატარება მომიხდა ლუნინეცში პოლონელებთან, მათი ფრონტის შტაბში. გარს მეხვეოდა ახალგაზრდა პოლონელი ოფიცრები და გაკვირვებით მათვალიერებდენ რატომ მე, პოლონელი, „ვემსახურები მოსკალებს“. პირველად ისინი ფიქრობდენ, რომ მე ვიყავი გარუსებული, პოლონეთის კულტურას მოწყვეტილი, მაგრამ ჩქარა დარწმუნდენ, რომ მე რუსულად ელაპარაკობ, სამწუხაროდ, ბევრ მათგანზე ცუდათ, რომლებსაც უსწავლიათ რუსულ სკოლებში. გამოცდა კი, რომელიც მე მათ მოუწყვე პოლონეთის ისტორიაში და პოლონეთის ლიტერატურაში, არც თუ ისე კეთილსასურველად დასრულდა მათთვის. მე ვცდილობდი ამეხსნა მათთვის, რომ ჩვენი სამშობლო—ეს არის კაცობრიობა, რომელმაც დაიწყო განთავისუფლება მეფის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე, ხოლო მომავალში ეს იქნება მთელი ქვეყანა და ამიტომ ჩემი სამშობლო მემკვიდრეა ყველა სხვა სამშობლოებისა.

პოლონეთის ახალგაზრდა ოფიცრები მიპასუხებდენ, „თქვენ გიყვართ ოცნება და არა ხორცშესხმული სამშობლო“. და აი, ახლა ეს სამშობლო უკვე არაა ოცნება, რომლისთვისაც სამოქალაქო ომებში მილიონები ღვრიდენ სისხლს. იგი ყველაზე უდიდესი ფაქტია მსოფლიო ისტორიაში, ჭიანჭველებია უდიდესი ბუდეა მსოფლიოში, უდიდესი მშენებლობა, იგია სიცოცხლე ბერეზინიდან წყნარ ოკეანემდე და თეთრი ზღვიდან შავ ზღვამდე—ერთი დროშის და ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ ერთიანი ნებისყოფით.

ჩემს სამშობლოს ასიოდე ენაზე მოლაპარაკე შვილები ჰყავს, და ამიტომ ჩემთვის, რომელიც ბევრ ენაზე ლაპარაკობს ცუდათ, არაა სასირცხო ვაქებდე მას და ამ დამტვრეულ ენაზე მიყვარდეს იგი. დე ეიყოს ერთი აჯამური ნაცუმციერესობა ერთი კაცის შემადგენლობით.

ჩემო სამშობლო, მე ხელს არ მიშლის პოლონური პეიზაჟი, რომ მიყვარდე შენ მიცკევიჩისა და გოეტეს ენაზე, მიყვარდეს, როგორც უყვარხარ ჩუვაშეთის ხალხს, უკანასკნელ მწყემსს, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანური აზროვნება ასწავლა. მე შემიძლია მასზე ძლიერეთაც მიყვარდე შენ, ვინაიდან მე მიყვარხარ ყველა იმათი გულისთვისაც, ვინც დაიღუპა მრავალ ქვეყანაში და მრავალსაუკუნეთა მანძილზე, რომ იბრძოდენ შენთვის და ვერასდროს ვერ გიხილეს შენ.

„ლიტვა, ჩემო სამშობლო! შენა ხარ როგორც ჯანმრთელობა: როგორ უნდა შენი სიყვარული მხოლოდ იგი გაგებს, ვინაც შენ დაგკარგა“. ასე მღეროდა ჩემი საყვარელი პოეტი მიცკევიჩი პოლონეთის დაყოფის შემდეგ. ჩვენ კი, საბჭოთა პატრიოტები ვამბობთ, „სამშობლო ჩემო, მხოლოდ იგი მიხვდება როგორ უნდა შენი სიყვარული, ვინაც შეგიძინა შენ, ვინაც იბრძოლა შენთვის. და უყვარხარ შენ ათეულ მილიონებს და შეგიყვარებენ ასეული მილიონები მთელ ქვეყანაში და იქნები სამშობლო მთელი განთავისუფლებულ კაცობრიობისა.“

ლიტ. გაზეთი

აგიტატორი ქალი

მხატვარი თამარ აბაკელია



სოციალისტური სამშობლო მოელის მწერალთა ყრილობის დაპირებათა შესრულებას

ტენდენციური ლიტერატურისა და ჰუმანიზმის შესახებ

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა ისტორიული მნიშვნელობის იმ მხრივაც არის, რომ სწორედ აქ საბოლოო საფუძველი ჩაეყარა უკვე დიდი ხანია დაწყებულ პროცესს, საბჭოთა კავშირის ინტელიგენციის სოციალიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებისას. კერძოდ საბჭოთა მწერლები, მიუხედავად შემოქმედებითი მიმართულებების ნაირნაირობისა გაერთიანებულნი არიან საბჭოთა მწერლების ერთ მთლიან კავშირში.

იბადება კითხვა, რა როლი ეკისრება ამიერიდან პროლეტარული მწერლობის ფრონტს, ლიტერატურის შემდგომ განვითარების საქმეში?

ჩვენ უფრო იმიტომ ვსვამთ ამ კითხვას, რომ მწერალთა რიგებში ჯერ კიდევ არიან ისეთები, რომელთაც ვერ შეუგნიათ, ან არ უნდათ შეიგნონ, რომ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის, როგორც ორგანიზაციის ლიკვიდაცია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პროლეტარული მწერლობის, როგორც ლიტერატურული მოვლენის, ლიკვიდაციას, რომ პროლეტარული მწერლობა იყო და კვლავ რჩება წამყვან ძალად სოციალისტური მწერლობის შექმნის საქმეში.

ამ მხრივ საკავშირო ყრილობაზე დამახასიათებელი იყო მთელი რიგი გამოსვლებისა და კერძოთ დემიან ბედნის განცხადება: ბ უ ხ ა რ ი ნ ი ამბობს, რომ ის საკითხებს უდგება მსოფლიო ლიტერატურის თვალსაზრისითო. მე კი ვეკუთვნი პროლეტარულ პოეტთა იმ ჯგუფს, რომელნიც მსოფლიო ლიტერატურას უცქერენ მსოფლიო რევოლუციის თვალსაზრისითო. ან კიდევ: მე მებძოლი, სააგიტაციო მწერლობის ფრონტის წარმომადგენელი ვარო.

დიახ, პროლეტარული მწერლობა თავიდანვე რევოლუციონური, მებრძოლი მწერლობა იყო. პროლეტარული მწერლობა მხატვრული სიტყვით იბრძოდა ყოველი ჯურის კონტრრევოლუციონურ ბანდების წინააღმდეგ. სამოქალაქო ომების ქარტეხილის დროს, პროლეტარულ მწერლობის სიტყვის ყუმბარები თავზარს სცემდა თავზეხელაღებულ მოწინააღმდეგეს. პროლეტარული მწერლობა, ერთის მხრივ, საგმირო ლექსებით ამხნევებდა და ბრძოლის უნარს უორკეცებდა პროლეტარული დიქტატურის დამცველ წითელ რაზმებს, მეორეს მხრივ, კლასობრივი სიძულვილის მძაფრი გამოსახვით ანადგურებდა პროლეტარული დიქტატურის შინაურ თუ გარეშე მოწინააღმდეგე ძალებს.

ლენრაიონის ლიტ. წრე (ამხ. ვ. გორგაძის ხელმძღვანელობით) არჩევს ყრილობის საკითხებს.

დღეს სამოქალაქო ომის მონაწილე, მაშინ ახლად ფეხადგმული პროლეტარული მწერლობის მხატვრული პროდუქცია, თუ დღევანდელობის თვალსაზრისით გადავხედავთ, ისე მონუმენტალურად ვერ გამოიყურება, როგორც მაგ. ნიტოგორსკის, კუზნეც-ბასეინის და კრემატორსკის მიმართ აღდგენის პერიოდის ფაბრიკა-ქარხნები. დღეს შეიძლება, ოსტატობის თვალსაზრისით, მართლაც „გავუსინჯოთ კბილი“ სამოქალაქო ომის მწერლობას, ზოგი სუსტათ მივიჩნიოთ, მაგრამ მათი ლიტერატურული მნიშვნელობის უგულებელყოფა, როგორც ეს ამხ. ბ უ ხ ა რ ი ნ ს მოუვიდა თავის მოხსენებაში, გაუმართლებელია და დაუმსახურებელიც.

ამხ. ბ უ ხ ა რ ი ნ მ ა თავის შესანიშნავ მოხსენებაში მეტად მწვავედ დააყენა შემოქმედებითი ფორმისა და ხარისხის საკითხი, გაკენწლა ბევრი სახელმოპოებული პოეტები, ზოგი მათგანი „ახალგაზრდობაში დაბერებულად“ გამოაცხადა, მაგრამ ჩვენის აზრით, ბ უ ხ ა რ ი ნ ი სწორედ აქ გადავარდა მეორე უკიდურესობაში, როცა შემოქმედებითი ფორმის საკითხი მოსწყვიტა ნაწარმოების მთლიანად ბაში სამართლიანად შემოდის და მაღალხარისხიანობის საკითხს და წინა პლანზე ფორმის პრობლემა წამოაყენა... უგულებელჰყო სააგიტაციო ჟანრის მწერლობა, ამ ჟანრის მწერლებს სიბერე დასწამა და წმინდა ლირიკის პრიმატის დაკანონებას შეეცადა.

სწორი იყო დ. ბედნის შენიშვნა: ამხ. ბ უ ხ ა რ ი ნ მ ა ერთგვარი ტორგსინი გამოჰყო „ტკბილიჭამიებისათვისო“.

უდავოა, რომ ჯანსაღი ლირიკა ესაჭიროება საბჭოთა მკითხველს. მუშათა კლასს სრული უფლება აქვს მოსთხოვოს ბწერლებს სუ ფრონ სიყვარულზე, სიხარულზე, სიამაყესა და მწუხარებაზე. მაგრამ ლირიკა არ არის მხოლოდ ამ თემებზე წერა და თუ მას ასე გავიგებთ, უნდა დავასკვნათ, რომ ეს ჟანრი არასოდეს არ ყოფილა „დაჩაგრულ“ მდგომარეობაში. რევოლუციის აგიტატორი მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი ხშირად გრანდიოზული ლექსების ავტორიც იყო. ამ უკანასკნელად, როგორც ყრილობის დელეგატი ამბობს: „ჩვენში, ფართო პოეტურ ხმარეკას და უფრო მეტი გამბედაობით და პასუხისმგებლობით მოეპყრობიან თავიანთ შემოქმედებას. მანდა აგრედვე დავრწმუნდე, რომ დაირღვა ის ლეიბნიცის „წინგანსაზღვრული ჰარმონია“, რომლითაც ახასიათებდენ ქართველ პოეტებს—ახლო წარსულში, რომ მოისპობა ჯგუფობრივობა, კინკლაობა და მიკერძოება.

ეს არის უმთავრესი, რასაც გვაცალებს საკავშირო მწერალთა ყრილობა. თუ როგორ მასიურად გამოეხმაურა საბჭოთა საზოგადოებრივობა ამ ყრილობას, ამის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, საქართველოც არ არის გამონაკლისი.

გუშინ თელავში ლ ე ო ნ ი დ ლ ე ო ნ ო ვ თ ა ნ, ნ ი კ ო ლ ა ი ტ ი ხ ო ნ ო ვ თ ა ნ და ბ რ უ ნ ო ია ს ე ნ ს კ ი ს თ ა ნ ერთად ვათვალიერებდით ერეკლეს სასახლეს, სადაც ახლა ტექნიკუმია. დაფაზე ცარცით უფროს კლასების შეგირდებისათვის წარწერილი იყო რუსულად მთელი რიგი კითხვები საბჭოთა მწერლების ყრილობის შესახებ, ეტყობოდა ეს საკითხი იქ დაემუშავებინათ. კითხვები შეეხებოდა ისეთ დეტალებს, როგორც დელეგატების შემადგენლობა, წარმოდგენილ ეროვნებათა რაოდენობა და სხვა. ვინ დაიჯერებს, რომ ამ კითხვებზე ვერც ჩვენ ვუპასუხებთ—სთქვა ტ ი ხ ო ნ ო ვ მ ა. რამდენია, ალბათ, საბჭოთა კავშირში თელავის ტექნიკუმისთანა დაფა და რამდენ გულზე კიდევ უცარცოთ დაწერილია წარუხოცელი შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა საბჭოთა მწერლების საკავშირო ყრილობამ.

(გაგრძელება იხ. მეხუთე გვერდზე)

კ ა ფ ი ა

ბ. ბ.

შენ ჩემი ენა არ გაგეგება,
მეც აზრს ვერ ვამბობ ჩემის რუსულით,
მაგრამ კი ვფიქრობ, ვინ უწყს, ეგება,
ისე გამიგო გულით და სულით.
საქართველოში ბებუთაშვილებს
სწამდათ ბებუთის ელვა და ელდა.
დღეს ბებუთს ხელში ვიღა იშიშვლებს,
როცა კალმები გვიპყრია ხელთა!
მოდი, შევიგრძნოთ ერთიმეორის
საპოეზიო დარდი და ლხენა.
ჩვენ ისეც გვესმის სიტყვა მეგობრის,
რა საჭიროა ძმებისთვის ენა.

ი. გრიშაშვილი

პოეზიის საღამო. მოსკოვი.

შ ე ხ ვ ე დ რ ე ბ ი

ტიციან ტაბიძე

უკრაინის მწერალთა ყრილობაზე ამხ. სტ ე ც კ ი მ განაცხადა: საკავშირო საბჭოთა მწერლების ყრილობიდან მწერლები სხვა ადამიანებად უნდა დაბრუნდენო.

უეჭველად ასრულდა ამხ. სტ ე ც კ ი ს სიტყვა. ბევრი მწერალი ამ ყრილობიდან დაბრუნდა და უფრო ბევრი კიდევ სხვა ადამიანად დაა ბრუნეს.

ასე გაივლო ისტორიული მიჯნა საბჭოთა მწერლების აგვისტოს ყრილობაზე.

ყრილობას უმთავრესად ახასიათებდა ბრძოლა ოსტატობისათვის და მწერლობის ხარისხის ამაღლებისათვის, აქ არავინ მორიდებია პიროვნებას, ისე მოხდა გაცხრილვა და გადალაგება. მწერლობაში არავითარი შეღავათი, არავითარი გარეშე დამსახურება გარდა მწერლობის ოსტატობისა—ამას მოითხოვს ჩვენი გმირული ეპოქა და ეს საკითხი ბოლშევიკური გამბედაობით და პრინციპიალური სიმძლავრით დააყენა ამხ. ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ მ ა თავის შესანიშნავ მოხსენებაში.—არც იყო საკვირველი, რომ სწორედ ამ მოხსენების გარშემო ატყდა ცხარე დავა და კამათი.

— უნდა გავბედოთ,—ასე დაათავა თავისი სიტყვა ბ უ ხ ა რ ი ნ მ ა,— და ამ გაბედვის ლოზუნგს ორი აზრი ჰქონდა, ერთი ახალი გზის, სოციალიზმის ეპოქის მწერლობის შექმნისა და მეორე—განვლილ ეტაპების შესახებ მართალი სიტყვის თქმის გაბედვისა.

უეჭველია, ყრილობის შემდეგ, დარჩა თავმოყვარეობა თავშელახული და „უკმაყოფილო მწერლების ფრაქცია“, მაგრამ დრო თანდათან მოაშორებს მათ იარას, ზოგი უფრო თავგამოდებით და გამეტებით იბრძოლებს თავის ოსტატობის ამაღლებისთვის, ზოგი კი ჩაილულის წყალს დალევს და ჩამოსცილდება მწერლობას.

საერთო აზრია, რომ ქართული მწერლობა ყრილობაზე წარმოდგენილი იყო იქ ისტორიული მასალისა და მასშტაბის შენარჩუნებით, რაც მას წარსულში და დღესაც დაუმსახურებია.

პირველად მთელი ქვეყნის გასაგონათ ყრილობაზე წარმოითქვა სიტყვა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი ს, გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი ს, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს, ა კ ა კ ი წ ე რ ე თ ლ ი ს, ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს, ვ ა ჟ ა ფ შ ა ვ ე ლ ა ს, ს ა ბ ა ს ულ ხ ა ნ-ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს და „კალმასობის“ ავტორის ი ო ა ნ ე ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს შესახებ.

მართალია, ამ შესანიშნავ მწერალთა სახელი ზოგჯერ უცნობ მკითხველს არაფერს ეუბნება, მაგრამ მაინც აინტერესებს იმ კულტურულ გარემოს, სადაც უნდა წარმოშობილიყო ასეთი დიდი მწერლობა. წინანდელი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობა ქართული პოეზიის ისტორიას ი ო ს ებ დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი თ იწყებდა, რომ უფრო გასაგები გაეხადა პროლეტარული პოეზიის სათავე *).

ამგვარად, ეს შეცდომა იყო და პროლეტარიატი არასდროს არ ეუბნება უარს კულტურულ წარსულის მემკვიდრეობას და რ უ ს თ ა ვ ე ლ ს და გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს არ დასტოვებს მარტო ფეოდალურ მემკვიდრეობის ინვენტარში.

ამ მწერლობის დიდ სათავეთა გაშლამ გააფართოვა ქართულ პოეზიის არე და უნდა სისწორით და პირდაპირობით ითქვას, რომ ამ ყრილობაზე ქართულ პოეზიას ხვდა ბრწყინვალე გამარჯვება, რომელზედაც ორი-სამი წლის წინათ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. ყრილობის საერთო აზრს გამოხატავდა უკრაინის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელმაც განაცხადა, რომ ქართული პოეზია მსოფლიო რეზონანსის პოეზიაა.

ქართული პოეზიის საღამო, რომელიც გაიმართა ყრილობის დღეებში და რომელსაც დაესწრენ რუსეთისა და კავშირის სხვა მწერალთა საუკეთესო ოსტატები, ქართული დელეგაციის ტრიუმფათ გადაიქცა. გარდა ქართველ პოეტებისა, ამ საღამოზე თავის ქართულ ლექსების თარგმანებს კითხულობდა ბ ო რ ი ს პ ა ს ტ ე რ ნ ა კ ი დ ა ნ ი კ ო ლ ა ი ტ ი ხ ო ნ ო ვ ი. აქაც საერთო აზრს გამოხატავდა ა ლ ე ქ ს ი ტ ო ლ ს ტ ო ი, რომელმაც განაცხადა—არცერთ ჩვენგანს აქამდე წარმოდგენა არ გვქონდა, რა მდიდარი პოეზია ყოფილა ჩვენ კავშირშიო. ასევე განაცხადეს კონსტ. ფ ე დ ი ნ მ ა, ლ ეონიდ ლ ე ო ნ ო ვ მ ა, ვ ს ე ვ ო ლ ო დ ი ვ ა ნ ო ვ მ ა, ი. ე რ ე ნ ბ ურ გ მ ა, ა. ფ ა დ ე ე ვ მ ა, ყრილობის ტრიბუნიდან ს. ტ რ ე ტ ი ა კ ო ვ მ ა, კორ. ჩ უ კ ო ვ ს კ ი მ, პ რ ო კ ო ფ ი ე ვ მ ა, ილიშ ჩ ა რ ე ნ ც მ ა და სხვებმა. მაქსიმ გ ო რ კ ი ს აგარაკზე საბჭოთა კავშირის ეროვნებათა მწერლების შეხვედრის დღეს, როცა მუშავდებოდა კონკრეტული ღონისძიებანი მოძმე რესპუბლიკების მწერალთა მჭიდრო დაკავშირებისა, ამხ. ნ. ბ უ ხ ა რ ი ნ მ ა განაცხადა: სირცხვილია, რომ ჩვენ ქართულ კულტურას და კულტურის ისტორიას არ ვიცნობდეთ. სამეცნიერო აკადემიამ უნდა მოჰკიდოს ხელი ამის შესწავლას და ყველა ჩვენთაგანი ასეთ წიგნს უფრო მეტი ინტერესით წაიკითხავდა, ვიდრე სხვა რომელიმე წიგნსაო.

ადვილათ გასაგებია, თუ თანამედროვე ქართული პოეზია ახდენს ასეთ შთაბეჭდილებას, როგორი რეზონანსი ექნება ქართულ ხალხურ შემოქმედების შედევრებს, რომლის მსგავსი მართლაც იშვიათია. ქართული პოეზიის გამარჯვებასთან დაკავშირებით ხაზი უნდა გაესვას, რომ ქართული პოეზია ამ ყრილობაზე არ ყოფილა გამოტანილი ეგზოტიკის ხაზით. ქართულმა პოეზიამ გაიმარჯვა სათანადოთ, იმით, რომ ის არ არის კარჩაკეტილი და შემოფარგლული.

ყველა თანამედროვე კულტურულ მიმართულებას აქვს გამოხმაურება ქართულ პოეზიაში.

უეჭველია საქართველოშიც საჭიროა იმ **მძლავრი იერიშის გაგრძელება პროვინციალიზმის წინააღმდეგ**, რაზეც ლაპარაკობდენ ყრილობაზე უცხოელი მწერლები და საუკეთესო რუსეთის ოსტატები. განა საქართველოში პროვინციალიზმი ხანდისხან არ დადის „ორღობის“ ლიტერატურამდე?

მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველ პოეტებს არ მოუვათ თავბრუდახვევა წარმატებისაგან, უფრო გაამახვილებენ თვითკრიტიკას და უფრო მეტი გამბედაობით და პასუხისმგებლობით მოეპყრობიან თავიანთ შემოქმედებას. მანდა აგრედვე დავრწმუნდე, რომ დაირღვა ის ლეიბნიცის „წინგანსაზღვრული ჰარმონია“, რომლითაც ახასიათებდენ ქართველ პოეტებს—ახლო წარსულში, რომ მოისპობა ჯგუფობრივობა, კინკლაობა და მიკერძოება.

ეს არის უმთავრესი, რასაც გვაცალებს საკავშირო მწერალთა ყრილობა. თუ როგორ მასიურად გამოეხმაურა საბჭოთა საზოგადოებრივობა ამ ყრილობას, ამის შესახებ ბევრი რამ დაწერილა, საქართველოც არ არის გამონაკლისი.

*) ასეთ შემთხვევას არასოდეს არ ჰქონია ადგილი, დ ა ვ ი თ ა შ ვ ი ლ ი თ იწყებდენ პროლეტარულ პოეზიას და არა საერთოდ ქართული პოეზიის ისტორიას. აქ ავტორის ცნობა არ შეეფერება სინამდვილეს. **რედაქცია.**

რუსთაველის იუბილესათვის *)

კონსტანტინე ჭიჭინაძე

რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით არსებობს საკითხები, რომლებიც შესწავლასა და დამუშავებას მოითხოვენ. შევეხები უპირველესად ყოვლისა საიუბილეო გამოცემის საკითხს. ჩემის აზრით, მთელი ყურადღების ცენტრი ამ შემთხვევაში გადატანილი უნდა იქნეს წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე. ეს გამოცემა არამც და არამც არ უნდა დაიტვირთოს სხვადასხვა ხასიათის წერილებით და კვლევითი მასალით. წერილები და მონოგრაფიები ვეფხის-ტყაოსნისა და მისი ავტორის შესახებ შეიძლება გამოიცეს კრებულების სახით, ან ცალკე წიგნებად. ამ გამოცემისათვის გამოყენებული უნდა იქნეს საკავშირო ძალები, იგი უნდა დაიბეჭდოს მოსკოვში ან ლენინგრადში, რადგან აქ ჯერ კიდევ არ არსებობს საჭირო პირობები მხატვრულად მაღალხარისხოვანი წიგნის გამოშვებისათვის (ქართველი-შვილის ცნობილი მხატვრული გამოცემა შესრულებულია ყოფ. პეტერბურგში).

რაც შეეხება ვეფხის-ტყაოსნის იმგვარ აკადემიურ გამოცემას, რომელიც ჰგულისხმობს ტექსტისათვის ვარიანტებისა და სხვადასხვა წაკითხვების დართვას, ორიოდე სიტყვა ამის შესახებაც უნდა ითქვას. ნაწილობრივად ეს საქმე უკვე შესრულებულია: სტროფიულ ვარიანტებს იძლევა ს. კაკაბაძის პირველი გამოცემა ვეფხის-ტყაოსნისა, ხოლო სხვადასხვა წაკითხვებს ი. აბულაძის მეორე გამოცემა. რა თქმა უნდა, ეს შრომები არ წარმოადგენენ არაუებულ ხელნაწერთა მთლიან სურათს, მაგრამ ასეთი მთლიანი სურათის ძიებაა ჯერჯერობით არც არის შესაძლებელი, რადგან პოემის ხელნაწერთა საკმაოდ მოზრდილი რაოდენობა ჯერ კიდევ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კერძო პირების საკუთრებას შეადგენს. მართალია, მათი თავის მოყრა ჩვენს მუზეუმებში ამჟამად შედარებით სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ამ პროცესის დასრულებას რამდენიმე წელი მაინც უთუოდ დასჭირდება კიდევ (საჭიროა დაიწეროს სპეციალური საპროპაგანდო წერილები, რათა ვეფხის-ტყაოსნის ხელნაწერების კერძო მესაკუთრეებმა ეს ხელნაწერები სასყიდლით ან უსასყიდლოდ მუზეუმებს გადასცენ)

ვინაიდან ვეფხის-ტყაოსნის გამოცემა ყველა ვარიანტებისა და წაკითხვების დართვით მეტად დიდ ტექნიკურ შრომასა და მნიშვნელოვან ხარჯებს მოითხოვს, ამიტომ მიზანშეწონილი იქნება მისი რამდენიმე წლით გადადება, რომ ხალხში დარჩენილი ხელნაწერების ამოკრეფის შემდეგ, ხელმეორედ არ გახდეს საჭირო ამ დიდი შუშაობის ჩატარება, მით უმეტეს, რომ პოემის ამგვარ გამოცემას ექნება ვიწროდ განსაზღვრული სპეციალური საკვლევიებო დანიშნულება.

*) საკითხის განხილვისათვის **რედ.**

ამასთანავე უნდა ითქვას, რომ რაიმე ახალი აღმოჩენები ამ მიმართულებით მოსალოდნელი არ არის. პოემის ტექსტი ძირითადში უკვე დადგენილად უნდა ჩაითვალოს. ამიერიდან ყურადღების ცენტრი ტექსტოლოგიური კვლევა-ძიებიდან გადავა პოემის ათვისებაზე მხატვრული კრიტიკის მიერ.

მაინც, რაკი სიტყვა მხატვრულ კრიტიკაზე ჩამოვარდა, უნდა ითქვას, რომ **აუცილებლად საჭირო იყო პრემიის დანიშვნა საუკეთესო მონოგრაფიაზე ვეფხის-ტყაოსნის შესახებ.** სამაგიეროდ, ჩემის აზრით, **ზედმეტად უნდა ჩაითვალოს კონკურსის გამოცხადება ვეფხის-ტყაოსნის განსახიერებაზე დრამატიულ ნაწარმოებში.** საეჭვოა, რომ ვეფხის-ტყაოსანმა დრამატიული თეატრის სცენაზე შესაფერი განსახიერება ჰპოოს.

დიდი ყურადღება სამაგიეროდ უნდა მიექცეს ვეფხის-ტყაოსნის ღირსეულ გაფორმებას კინემატოგრაფიაში. არ არსებობს ეკრანზე უფრო დიდი შესაძლებლობა ამ წარმტაცი შინაარსისა და ბრწყინვალე სიუჟეტური კომპოზიციის მქონე პოემის ფართოდ გახმაურებისათვის საქართველოს ფარგლების გარეშეც. მხოლოდ სახკინმრეწვის მიერ გამოცხადებულ სასცენარო კონკურსში ზედმეტად დაზუსტებულად არის წარმოდგენილი სურათის ჩარჩოები. მე სავსებით ვეთანხმები რეჟისორ წუწუნავას, რომ ვეფხის-ტყაოსანი შვიდნაწილიან სურათში დაუმახინჯებლად არ ჩაეტევა; იგი შეიძლება ბრწყინვალედ გაიშალოს მხოლოდ ორ სერიაში. დიდად საკამათოდ მიმაჩნია აგრეთვე საკითხი— ხმოვანი უნდა იყოს ეს კინოსურათი თუ უხმო? ჩემის აზრით, უხმო სურათში იქნება მეტი სიდიადე და ინტერნაციონალურობა. კარგი იქნება არა ლაპარაკის, არამედ მხოლოდ მოძრაობათა ხმაურის გადმოცემა. ღირსეული სცენარის შექმნის იმედი სახკინმრეწვმა მარტოოდენ კონკურსის გამოცხადებაზე არ უნდა დაამყაროს, თორემ შესაძლებელია ამ იმედის გაცრუება. საჭიროა პარალელურად სწარმოებდეს მუშაობა დაკვეთითაც, რაც კონკურსს ხელს არ შეუშლის.

ყველა გამოცხადებულ კონკურსში, როგორც სახკინმრეწვის, ისე **განსახკომის** მიერ, დიდი როლი ენიჭება **დახურულ** კონვერტებს, რაც სასურველი არ არის. უეჭველად მინიმუმამდე უნდა იქნეს დაყვანილი მნიშვნელობა ამ **დახურული** კონვერტებისა. ზოგიერთი ხასიათის **საკონკურსო** ნაწარმოები (მაგალითად, ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული) თვით საბჭოთა საზოგადოებრივობის მიერ უნდა იქნეს მსჯავრდადებული; ჟიურის გადაწყვეტილებამ კი საზოგადოებრივი აზოის დადასტურება უნდა მოგვცეს.

შესაძლოა იუბილესათვის გაძნელდეს კინოსურათისა და ძეგლის მოსწრება. ამიტომ საჭიროა სიჩქარე, მხოლოდ ამ დაჩქარებამ არავითარ შემთხვევაში საქმისათვის საჭირო მასშტაბის შეკვეცა არ უნდა გამოიწვიოს.

უკვე დროა არის, რომ შესდგეს საიუბილეო კომიტეტის პირველი სხდომა.

თქმულება ფირდოუსზე

ჰენრიხ ჰაინე

თარგმანი დავით გაჩეჩილაძის

ცხადი არი,—ღარიბ-ღატაკს
საუბარი ფულზე თუ აქვს,
ვერცხლის თუმანს თუ ახსენებს,
მეტს არაფერს — ვერცხლის თუმანს.
მაგრამ უფალ შახის პირში.
ფული უდრის ოქროს შუქებს,
და თუ ხარკად ოქროს იღებს,
ოქროთოვე ასაჩუქრებს.
ამნაირი ჰქონდათ რწმენა,
ფირდოუსიც ასე სჯიდა:
ვინც „შაჰნამე“ სთხზა და სწერა,
უკვდავებას დაეჭიდა.
შახმა ბრძანა — მან გმირული
სიმღერები დაჰგუგუნა,
და თვითეულ ლექსში თურმე
მას დაჰპირდა შახი თუმანს.
ვიდრე ჩვიდმეტ გაზაფხულზე
გაცოცხლდა და მოკვდა ია,
იადონსაც მეჩვიდმეტედ
იგი სტვენით შეუქია,
დღით და ღამით უჯდა იგი
აშფოთებულ ფიქრთა გროვას,
როგორც დაზგას — ვრცელი ნოხი
სიმღერების მოექსოვა.
და დიდებულ ლექსთა მთქმელმა
შიგ ჩააწნა სიტყვის ჯანით
საარაკო ძველი მხარე
პატრიარქთა ფარსისტანის.
სახნლგანთქმულ გმირთა სახე,
მათი საქმე, მათი ბრძოლა
დევებთან და ჯადოქრებთან
ზღაპრულ ნისლში აათრთოლა.
ყვავილებით ისე მორთა,
ყოველ სიტყვას შუქი მისცა,
თითქო მაღლით ჩაქცეოდა
ცა ლაჟვარდი ირანისა.
ის მარადი შუქი წმინდა,
ტაძარში რომ ელვარს სტოვებს,
უმუფტოთ და უყურანოთ
უნათებდა სულში პოეტს.
სიმღერა რომ ამოთავდა,
არც პოეტმა დააყოვნა
და ხელმწიფეს გაუგზავნა,
ორიათას ლექსის კონა.
მაშინ ჰასნის აბანოში
ფირდოუსი თურმე იწვა,
როცა უცებ კარს მოადგნენ
მოციქულნი ხელმწიფისა.
მათ ტომრები ზურგზე უმძიმთ,
შუბლს გადასდით ოფლის ცვარი,
და მუხლთ მოყრით ფირდოუსის
ფეხთან დასდეს საჩუქარი.
ჩქარობს ნახოს ოქროს ხვავი,
რაც ოცნებით ასე უყვარს,
და რომ ტომრებს მოხსნეს თავი,
განცვიფრებით იხევს უკან.
ის ტომრები თეთრი ვერცხლის
თუმანებით იყო მძიმე,
და ბაგეზე დიად მგოსანს
მწარე ღიმი დაციმციმებს.
ჩაიცინა, მერე უცებ
სამად გაჰყო ამანათი
და ხელმწიფის ორ-შავ მონას
შესთავაზა თითო ფარდი.
ამანათის მოტანისათვის—
თანაბარად უყოფს ფულებს,
მესამედიც ქირად მისცა
აბანოში მომსახურეს
წავიდა და ქუჩებს გასცდა
ხელში მწირის ყავარჯენით
და ქალაქის ალაყაფთან
დაიფერთხა ქოშთა მტვერი.

●

„რომ სიცრუე ეთქვა მხოლოდ,
რაც ჩვევია კაცთა ენას,
რომ უარიც ეთქვა ბოლოს,
არ ვიგრძნობდი გულში წყენას.
მას ვემდური — დაპირებას
რადგან ჰქონდა ორი აზრი,
მან დუმილით ჩემს გულს მგზნებარს
უმწვავესი ჩასცა ბასრი.
დიადსა და სულით უვრცესს,
მას ვერავინ შეედრება.
და სადაც კი ძარღვი უცემს,
იქ გამოკრთის მეფის ნება.
ამაყმა და ბრძენმა კაცმა,
მზედ იელვა ღრუბელთ-შუა,
სული ცეცხლით დამინაცრა
და ბოლოს კი მომატყუა.

●

ნადიმის შემდეგ, შახი მუხამედი,
გულდაამებული სტკბებოდა ღამეთი.
ყვავილოვან ნოხზე იწვა შახი და
მწუხრში შადრევანი ცას შეჩახჩახებდა,
ირგლივ მუნჯ მონათა შეეკრათ
რკალები,
აქ იყო ანზარიც — მონა საყვარელი.
მარმარის ვაზებში შუქი რომ ეელება,
ვარდის წყაროებათ ჰქუხდა სურნელება.
შორს გაქვავებულნი, მწვანე
ტანისამოსით
ოცნებით უცქერდენ ზეცას
კვიპაროსნი.
უცებ საამური სიმღერა გაისმა,
სიტყვებს ათრთოლებდა ბგერა
საკრავისა,
და შეკრთა მუჰამედ, როგორც
ნამძინარი—
ამის გამომთქმელი, ჰკითხულობს, ვინ
არი,
და ღრმათ ჩაფიქრებულ ხელმწიფეს
მოეკრა
ანზარის პასუხი: ეს თქვა ფირდოუსმა.
ფირდოუსია?... და მერე სად არი
ეს დიდი მგოსანი და შეუსადარი.
ანზარი პასუხობს: რამდენი ხანია,
მას სიღატაკიდან არ გაუხარია.
იქ, მშობელ ტუსაში, ბაღთან თმებ
გაშლილი,
დადის ფირდოუსის დიადი აჩრდილი.
შახმა გამოკითხვას აქ თავი ანება,
და შემდეგ ხმამაღლა წარმოსთქვა
ბრძანება:
გასწი და თავლაში ფიცხელ განამზადე—
ასი აქლემი და ჯორებიც ასამდე.
სიმდიდრე მრავალი აჰკიდე სახედრებს,
რაც ყოველ კაცის გულს სიამით
ალხენდეს.
ყოველი საუნჯე, სიმდიდრე ნალოცი,
დე, ზურგით ათრიონ: ჭურჭელი,
სამოსი,
სპილოთა ძვალი თუ ხე ძვირფას
ხელობით,
ბრწყინვალე ოქროთი მოვარაყებული.
ტყავები ვეფხისა. ათასში რჩეული,
ფარჩა უკეთესი, ნოხი, ბეწვეული,
ის რაც ჩვენ ფეიქრებს დღემდე
უქსოვიათ,
ან საკუჭნაოში სასმისთა ბროლია,
არ დაგავიწყდეს შენ მოოქროვილი
მძიმე საჭურველი, და თოქალთოები.
არ დაგავიწყდეს რომ აურაცხელი,
ბარგებში ჩააწყო ტკბილეულ-სასმელი.

გემოთ და ხარისხით რომ დასაქადები
წაიღო ნუშისა ნამცხვარი, ქადები.
თავლიდან უკეთეს ბაგაზე დაბმული,
წაასხი თორმეტი ცხენი არაბული.
მონაც ამდენივე, ზანგებში რჩეული,
ტან-ფოლადოვანი და შრომას ჩვეული.
ამნაირ სიმდიდრით მგოსანს ეახელი,
და მიწას ემთხვიე ხელმწიფის სახელით.
გაშორდა ანზარი შახს თავის დაქნევით,
სიმდიდრით დატვირთა ჯორი თუ
აქლემი,
(აქ მთელი სამთავრო იხდიდა ბეგარას)
ჩქარობს ქარავანი... ქალაქს მიეფარა,
სამი დღე არც არი-რომ გზაში მიდიან,
სატახტო ქალაქთან სიშორის ბინდია,
და ცხელ უდაბნოში სასვენ კარავამდი,
დროშით მეწამულით მიჰქრის
ქარავანი.
შვიდი დღის შემდეგ, როცა იდაისა,
მთის ქვემოდ ქალაქის ხმაური გაისმა.
და დასავლეთიდან შეუძღვა მეგზური,
ქარავანს—აგრგვინდა ქალაქი
შეძრული,
დაფდაფით, ყიჟინით და სალამურებით
წინ შემოეგებენ მათ მოხარულები.
ლა ილლა ილ ალლახ—
მექარავნისანი
სიმღერაც გაისმა, აღსრულდა მიზანი.
მაგრამ აღმოსავლით, მეორე მხარიდან,
იქ, სადაც მდევარი ჰქრის
მისახარებლად,
ტუსის კარებთან შეჩერდა მხედარი,
კარში ფირდოუსის გაჰქონდათ
ცხედარი.

კანტელეიმონ ჩხიკვაძის წერილის გაგრძელება

აქტუალური თემატიკის რიგში რჩება.

ამიტომ დაესხენ თავს ამხ. ბუხარინს საგიტაციო პოეზიის ჟანრის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. მაღალხარისხიან ნაწარმოებისათვის ბრძოლა არასოდეს არ რიცხავს საგიტაციო საპროპაგანდო მწერლობის ჟანრს ლიტერატურაში.

●

„დღეს, მთავარია -- როგორც ამას ამხ. სტეცკი ამბობდა— შევქმნათ სოციალიზმის სულით გამსჭვალული მხატვრული ნაწარმოები... დანარჩენ საკითხებში კი რჩება თავისუფალ შემოქმედების საშუალებებიო“.

ლაპარაკია მხატვრულ-შემოქმედებითი ხერხების ნაირ-ნაირობის შესახებ, და მათ შორის სტილისა და ფორმის თავისებურებათა შესახებ. ასეთ შემოქმედებითი თავისებურებების საკითხში ვიწრო „მენიუ“ არავის არ დაუკანონებია საბჭოთა მწერლობისათვის, არც რომელიმე ჟანრი გამოუცხადებია წამყვან ჟანრად.

თუ ჩვენ არ უარვყოფთ ჩვენი ლიტერატურის ტენდენციურობას (ყრილობაზე ამხ. ჟდანოვმა გარკვევით განაცხადა: „ჩვენს საბჭოთა ლიტერატურას არ ეშინია თუ მას ბრალს დასდებენ ტენდენციურობაში. დიახ, საბჭოთა ლიტერატურა ტენდენციურია, რადგან არ არის და არც შეიძლება იყოს კლასობრივ ბრძოლის ეპოქაში ლიტერატურა არაკლასიური, უტენდენციო, თითქო აპოლიტიური“-ო), მაშინ კიდევ მეტის სიმწვავით დგება ლიტერატურულ ჟანრებს შორის მაღალხარისხოვანი აგიტკის მწერლობა, რადგან აგიტკა ჩვენ ამ ტენდენციურ ლიტერატურის ერთერთ საუკეთესო სახეობათ მიგვაჩნია. ტენდენციური ლიტერატურის ოსტატებად ჩვენ სწორედ მ ა ი ა კ ო ვ ს კ ი, დ. ბ ე დ ნ ი და ბ ე ზ ი მ ე ნ ს კ ი მიგვაჩნია, თავიანთ საუკეთესო ნაწარმოებებში. ბევრი მათი პოეტურ შემოქმედებების წინანდელი ნიმუშები, დღესაც იმავე სიძლიერით ჟღერენ, როგორც რამოდენიმე წლების წინეთ.

ზემოთ ჩამოთვლილი მწერლები თავიდანვე ყურადღებას იპყრობდენ, როგორც რევოლუციონურ რომანტიკის წარმომადგენელნი პოეზიაში. „ჩვენი ლიტერატურისათვის, რომელიც ორივე ფეხებით დგას მაგარ მატერიალისტურ საფუძველზე, არ არის უცხო რომანტიზმი, ხოლო რომანტიზმი ახალი ტიპის, რევოლუციონური რომანტიზმი“ (ჟდანოვი).

მწერალთა რიგებში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც უარყოფენ ლიტერატურის ტენდენციურობას, ხოლო ყოველგვარ და მათ შორის მაღალხარისხოვან ტენდენციურ ნაწარმოებებს ხალტურის ნიმუშებად აცხადებენ. აყენებენ რა „წმინდა ხელოვნების“ ჟამგადასულ თეორიებს, გვერდს უვლიან სოცრეალიზმის მეთოდის სწორ გაგების საკითხს და რაც მთავარია, შემოქმედებით მუშაობაში ჯერ კიდევ შორიახლო უვლიან აქტუალურ თემატიკას დისტანციის თეორიის მომიხეზებით, აშკარად რომ ვსთქვათ, უგულვებელყოფენ პროლეტარული მწერლობის წარსულ და დღევანდელ როლს მებრძოლი ლიტერატურის შექმნის საქმეში.

ზემოწამოყენებული დებულებები ჩვენ გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ მიუხედავად იმ გრანდიოზული ძვრებისა, რაც მოხდა მთლიანად ინტელიგენციის საკითხში, ინტელიგენციის ძირითად სასიცოცხლო ძალების სოციალიზმის დროშის ქვეშ გაერთიანებით, ჯერ კიდევ სავსებით არ არის ამოგლეჯილი ის ფესვები და გადაჭრილი ყველა ის ძაფები, რაც ამა თუ იმ ცალკეულ საბჭოთა ინტელიგენტს თუ მწერალს წარსულისკენ არ ეზიდებოდეს.

მოვიგონოთ ამ უახლოეს ხანში მომხდარი ზოგიერთი თვალსაჩინო მოვლენები ჩვენს საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში: 1) ურალმანქანათ მშენებლობაში მავნებლური ჯგუფის აღმოჩენა. მავნებლობა რკინის გზებზე და სხ. 2) უკრაინულ - ნაციონალისტურ-შოვინისტური ორგანიზაციის აღმოჩენის ფაქტი და 3) თუ გნებავთ ის გარემოებაც, რომ ამ რამდენიმე ხნის წინად აქაურმა მწერალმა გრიგოლ რობაქიძემ ფაშიზმის ბანაკში ამოჰყო თავი.

●

ახლა, თვით ყოფილ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელთა უმრავლესობაშიაც კი კამათს არ იწვევს ამ ასოციაციის უხეში ადმინისტრატიულობის, თეორეტიული შეცდომების, ჯგუფობრიობის და სხვა საკითხები. ეს პარტიის მიერ საბოლოოდ დაგმობილია, მაგრამ თუ რომელიმე მეტად ჭკუამოკლე ადამიანი, პროლეტარული მწერლობის მტერი ამ ფაქტიდან გამომდინარე რევანშის აღებას მოინდომებს — მას ჩვენ სასტიკად უნდა შევებრძოლოთ. ასეთებისადმი პასუხის გაცემა არ ნიშნავს არაპროლეტარულ მწერლებთან დამოკიდებულების გაფუჭებას, ვინაიდან ერთად-ერთი სწორი პოლიტიკა პრინციპიალური პოლიტიკაა, როგორც ამბობდა ლენინი.

კერძოდ, ჩვენ ყოვლად მიუღებლად მიგვაჩნია ჩვენი პროლეტარული მწერლების და საერთოდ ტენდენციურ ლიტერატურის წინააღმდეგ გასალაშქრებლად მწერლის ოფიციალური ტრიბუნის გამოყენება, როგორც ამას საქართველოს მწერალთა კავშირის ივნისის პლენუმზე ჰქონდა ადგილი და რისი რეციდივები შემდეგაც გრძელდება იმავე მისამართით და იმავე დებულებებით.

დამახასიათებელია ისიც, რომ ამჟამად კლასიკოსებისადმი ყურადღების გამახვილებამ, ერთგვარი აჟიოტაჟი შექმნა ზოგიერთის შეგნებაში და აქა-იქ გაისმის ცილისწამება თითქო მწერალთა სასახლეში ამ რამოდენიმე ხნის წინად ადგილი ჰქონდა ისეთ განცხადებებს, რომ „შეწევნითა ღმერთისათა ქართველი ხალხი რუსთაველის სახელს მალე სულ დაივიწყებსო“ და მახვილი აქაც პროლეტარულ მწერლობისაკენ არის მიმართული.

მე აქ არ გამოუდგები ამ საკითხის გარჩევას, რადგან ეს სპეციალური წერილის საქმეა და ჩვენ გვექნება საშუალება ჩვენი აზრი გამოვთქვათ ამ საკითხზე, ვიტყვით მხოლოდ შემდეგს... მე არ ვიცი ვინ „იწინასწარმეტყველა“ რუსთაველის მივიწყების ეს „სიბრძნე“, ან საერთოდ ამის მსგავსი განწყობილება თუ არსებობდა მწერალთა რიგებში 23 აპრილის დადგენილების წინად ან შემდეგ. ფაქტი კი ის არის, რომ კლასიკოსების შერჩევა და ამოჩემება ამათუიმ მწერლის პირადი გემოვნების მიხედვით ხდებოდა და მე პროლეტარულ მწერალს შემთხვევა მქონდა ილია ჭავჭავაძის დამცველის როლში გამოვსულიყავ კ. გამსახურდიას წინააღმდეგ, როცა მან სრულიად უგულებელჰყო ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა და მწერლებს მოუწოდა: „უკან მერჩულისაკენ და ხანძთელისაკენო“.

ეს სხვათა შორის.

დასკვნა კი ასეთი უნდა იყოს: საბჭოთა მწერლობა ყრილობის შემდეგ შედის მუშაობის ახალ პერიოდში, სადაც იდეურ-მხატვრული ხარისხის საკითხი იპყრობს მუშაობის ცენტრალურ ყურადღებას. პროლეტარული მწერლობა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების ისტორიაში მუდამ მოწინავე როლს თამაშობდა იდეოლოგიის ფრონტზე. ის იდეოლოგიურად წამყვანი იყო. დღეს ის მედგარ ბრძოლას აწარმოებს ხარისხის დაუფლების საქმეში და ჩვენ გვჯერა, რომ ისტორიულად მასზე დაკისრებულ როლს ის პირნათლად შეასრულებს, და შესძლებს ასეთივე წამყვანი როლი ითამაშოს შემოქმედების ყველა სფეროებში მუშაობით, და კიდევ ერთხელ მუშაობით გრანდიოზული კულტურული წინსვლის გზით.

ლიტ. გაზეთი

მკითხველთა და ავტორთა საყურადღებოდ

შეგობრული შარჟი
სამსონ ნადარეიშვილის

მოთხრობა „ფერადი ბუშტების“ ავტორი, ყოფილი „ცისფერ-ყანწელი“ ამხ. პაოლო იაშვილი ყრილობაზე გამოვიდა სიტყვით, რომელიც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა შემდეგი სათაურიო: „Воздух нашей страны“ (ჩვენი ქვეყნის ჰაერი).

სტუმრებს მიუძღვნა პაოლომ
ხიტყვა ურითმო—შაირი.

—ასწიეთ, ყანწით დალიეთ
ჩვენი ცისფერი ჰაერი.

ირ. აბაშიძე

დღეიდან ჩვენი პარტიის—მისი ცეკას, მწერალთა საზოგადოებრივობის და მისი ორგანიზაციის მთელ რიგ ღონისძიებებით „ლიტერატურული გაზეთი“ რეორგანიზებულია: იგი გადაიქცა რეგულიარულ ექვსდღიურ გაზეთად. დღემდე „ლიტერატურული გაზეთი“ გამოდიოდა არასისტემატიურად და სხვათაშორის ეს გარემოებაც ხელს უშლიდა მის პოპულიარობას, მაგრამ საქართველოში ლიტერატურულ პრესას აქვს დიდი შესაძლებლობა, თუ კი ენერგიული მუშაობა გაჩაღდება.

„ლიტერატურული გაზეთი“-ს მაღალ იდეურ-მხატვრულ და ამასთან რეგულიარულ ორგანოდ გადაქცევა არ არის მხოლოდ მწერლების საქმე: რედაქცია თავისი მხრივ მიიღებს ყოველგვარ ღონისძიებას, რათა განამტკიცოს თავისი გაზეთის ავტორიტეტი მკითხველთა რიგებში. მეორე მხრივ, საჭიროა თვით მკითხველთა ფართო წრეებმა უშუალო მონაწილეობა მიიღონ გაზეთის ბედ-იღბლის გადაწყვეტაში. გაზეთს სჭირდება თავის ირგვლივ როგორც მუდმივ თანამშრომელთა, ისე მუდმივ მკითხველთა კადრების დარაზმვა. ყოველგვარი, ოდნავ მაინც საყურადღებო გამოძახილი, ცნობა, აზრი და წინადადება, ვისგანაც არ უნდა მივიღოთ იგი, უყურადღებოდ არ იქნება დატოვებული.

განსაკუთრებით სუსტია ჩვენი პრესა საერთოდ და „ლიტერატურული გაზეთი“ განსაკუთრებით ეგრედწოდებული „მცირე საგაზეთო ჟანრებით“ (ქრონიკა, ინფორმაცია, ანოტაცია, ბიბლიოგრაფია, რეცენზია, კორესპონდენკია, იუმორი, ფელეტონები და სხვა). ავტორების ზოგიერთ ფენებში ამ მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი დარგების მიმართ დღემდე სამწუხაროდ თავისებური აზნაურულ-ქედმაღლური დამოკიდებულება არსებობს. ასეთ ტენდენციებს მომავალში ადგილი არ უნდა ექნეს. საქართველოს ყველა კუთხიდან მიღებული სარწმუნო ცნობები დაუყოვნებლივ გამოყენებულ იქნება ჩვენი გაზეთის მიერ. ასევე საჭიროა ყველა ცენტრალური კულტურული დაწესებულების მიერ ჩვენი გაზეთისათვის ცნობების სისტემატიურად მოწოდება.

აუცილებელია აგრეთვე გაზეთის ეგრეთწოდებული „გარეგნული კულტურის“ ამაღლება და ყველა ამ საქმესთან დაკავშირებულ ძალების მძლავრი დახმარება (მხატვრები, ასოთამწყობები, ცინკოგრაფები, საგაზეთო საქმის სპეციალისტები და სხ.).

გაზეთი აქტუალური უნდა იქნეს—იგი ფართო საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა გასწვდეს. ავტორები და განსაკუთრებით კი ის მწერლები, რომლებიც დღემდე ანგარიშს არ უწევდენ გაზეთის თავისებურ ინტერესებს, — ვალდებული არიან მეტი პასუხისმგებლობით მიუდგენ მკითხველს. რედაქცია მაქსიმალურ გასაქანს მისცემს სხვადასხვა შემოქმედებითი სახის მქონე ავტორებს, თუ კი ისინი ჩვენი რევოლუციის პოზიციებზე დგანან. რედაქცია მთელი თავისი კატეგორიულობით აცხადებს, რომ ხელისუფლების, პარტიის, მწერალთა ორგანიზაციების და რედაქციის მხრივ აღმოფხვრილ იქნება ყველა სხვა დაბრკოლება (მატერიალური, ტექნიკური, ორგანიზაციული) თუ მწერლების და საერთოდ ავტორების მხრივ საკმაო ინიციატივა და გაზეთის ბედით უშუალო დაინტერესება იქნება. ყოველი ავტორი და აქტიური მკითხველი თავისი გაზეთის უახლესი გულშემატკივარი უნდა იყვეს. ამ გულშემატკივართათვის ყოველთვის — თავისუფალია გაზეთის — ფურცლები და ღია კარები რედაქციისა. გარემე ასეთ საზოგადოებრივი — ურადღებისა გაზეთი — ვერ წავა წინ. მკითხველთა ფართე ფენების დაინტერესება გაზეთზე ხელისმოწერის იმ კამპანიისადმი, რომელიც მიმდ. წლის ოქტომბერშივე დაიწყება—არა მარტო გაზეთის რედაქციის და მწერლების საქმეა. განსაკუთრებულ დახმარებას მოველით პარტიულ, პროფ. და კომკავშირულ ორგანიზაციებისა, მუშკორებისა, მასწავლებლებისა, ბიბლიოთეკარებისა, სტუდენტებისა, მოსწავლეებისაგან და სხვ.

გაზეთს არ შეუძლია იარსებოს ხელისმომწერთა მტკიცე კადრების გარეშე, რომელთა რაოდენობა დაუყოვნებლივ უნდა გაიზარდოს და განმტკიცდეს. რედაქციას იმედი აქვს, რომ მწერ ლების და ავტორების კოლექტივის ენერგიული მუშაობით ჩვენ ამავე მიმდ. წლის ოქტომბრის თვეში იმდენად მოვსპობთ მკითხველთა უნდობლობას „ლიტერატურული გაზეთი“-ს პერიოდულობისადმი, რომ ნოემბრის, დეკემბრის და მით უმეტეს 1935 წლის მკითხველთა და ხელის მომწერთა რაოდენობა ერთი ათად, ოცად და კიდევ უფრო გაიზრდება.

„ლიტერატურული გაზეთი“ გამოდის ფართე საზოგადოებრივ ასპარეზზე—მის შემომქმედთა და გულშემატკივარ მკითხველთა ყურაღღებაზეა დამოკიდებული მისი შემდგომი განვითარება.

რედაქცია

ლიტერატურული ქრონიკები

კლასიკოსების გამოცემა მომავალ წელში

სახელგამის უკანასკნელი წლების გეგმაში კლასიკური ლიტერატურის გამოცემას უმნიშვნელო ადგილი ეჭირა. ახლა მდგომარეობა იცვლება. კლასიკოსები გეგმის 60% შეადგენს. აქ შედის კლასიკოსების სრული აკადემიური გამოცემები, ერთტომეულები და მასიური ბიბლიოთეკა. ძველი ლიტერატურიდან გამოცემული იქნება ამირან დარეჯანიანი, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, თეიმურაზ მეორე, იესე ოსეს-ძეს თავგადასავალი, იოსებ თბილელის—დიდი მოურავიანი, მე-18 საუკუნის უცნობი პოეტების კრებული და დავით გურამიშვილი.

მე-19 და მე-20 საუკუნის ლიტერატურიდან გამოცემული იქნება (განმეორებითი გამოცემა) ნაწერების სრული აკადემიური კრებული ნ. გარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასი (პირველი და მეორე ტომი) რ. ერისთავის (მეორე და მესამე ტომი) და ჭ. ლომთათიძე (პირველი და მეორე ტომი). გამოცემული იქნება ერთტომეულები: ი. ჭავჭავაძის (ორ წიგნად), ა. წერეთლის (ორ წიგნად), ა. ყაზბეგის, გ. წერეთლის, ან. ფურცელაძის, ზ. ანტონოვის, ნ, ლომოურის, სოფ. მგალობლიშვილისგრ. რჩეულიშვილის, შ. არაგვისპირელის, ე. ნინოშვილის, დ. კლდიაშვილის, მელანიას, ლალიონის, ბაჩანას, ე. გაბაშვილის და ან. ერისთავ-ხოშტარიას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასიურ ბიბლიოთეკის გამოცემას: აქ გამოცემული იქნება დიდი ტირაჟებით კლასიკური მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები, მათ შორის შ. რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი.“

გეგმით გათვალისწინებულია ხალხური შემოქმედების ორი აკადემიური ტომის და აგრეთვე ანდაზების და გამოცანების კრებულების გამოცემა.

გამოცემული იქნება აგრეთვე გრ. ორბელიანის წერილების მეორე ტომი, პირველი ტომი გამოდის 34 წ. ა. დიუმას—მოგზაურობა კავკასიაში და ა. ლამბერტის — მოგზაურობა სამეგრელოში.

გამოცემული იქნება რამდენიმე წიგნი კრიტიკული ბიბლიოთეკიდან, რომელშიაც მოცემული იქნება კლასიკოს-მწერლების შემოქმედების განხილვა.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება მაქცეული კლასიკოსების გამოცემებში კომენტარიებს და წერილებს.

გამოცემული იქნება აგრეთვე კრებულები მარქსი და ენგელსი ხელოვნების შესახებ, ლენინი—ხელოვნებაზე და სხ.

მწერალთა კავშირის საბჭოს პლენუმი

ცხრამეტ სექტემბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების საბჭოს გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა მოისმინა მწ. კავ.-ის თავმჯდომარე ამხ. მალაქია ტოროშელიძის მოხსენება საბ. მწერლების პირველი საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს მიხეილ ჯავახიშვილმა, შალვა დადიანმა, ბესო ჟღენტმა და დემნა შენგელაიამ. პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს საკავშირო ყრილობაზე მივლინებულ დელეგაციის მუშაობას.

ამავე პლენუმმა აირჩია მწერალთა კავშირის საბჭოს ახალი სამდივნო ამხ. დავით დემეტრაძის (პირველი მდივანი), ბესო ჟღენტის, სანდრო ეულის და ვალერიან გაფრინდაშვილის შემადგენლობით.

საკავშირო მწერალთა ყრილობის შედეგების შესწავლა

თექვსმეტ სექტემბერს ტრამვაის მუშათა კლუბში შესდგა ტფილისის ლენინის და სტალინის რაიონების და რკინის გზის ტფილისის კვანძის პარტიულ-კომკავშირული აქტივის გაერთიანებული კრება. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ამხ. მალაქია ტოროშელიძე. ყრილობის დელეგატებმა მიხეილ ჯავახიშვილმა, ბესო ჟღენტმა და პაოლო იაშვილმა კრებას გაუზიარეს თავისი შთაბეჭდილებები.

იმავე დღეს ვოროშილოვის სახელობის კლუბში შესდგა ორჯონიკიძის და 26 კომუნარების სახელობის რაიონების პარტიულ-კომკავშირული აქტივის კრება. მოხსენება ყრილობის შედეგების შესახებ გააკეთა ამხ. დავით დემეტრაძემ. ყრილობაზე დასმული საკითხების შესახებ სიტყვებით გამოვიდენ ყრილობის დელეგატები შალვა დადიანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, პლატონ ქიქოძე. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. გუგული ბუხნიკაშვილმა და მუშა-მკითხველებმა. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის მდივნის მოადგილემ ამხ. ს. გეგენავამ მოკლე სიტყვით დახურა კრება.

ჟურნალი „მნათობი“

ჟურნალი „მნათობი“-ს გამომცემლობა გადადის დამოუკიდებელ სრულ სამეურნეო ანგარიშზე. რედაქციას გადაეცემა ჟურნალის გამოცემისა და გავრცელების საქმე. 1935 წლიდან ჟურნალი გამოვა ყოველ თვეს, სულ 12 ნომერი წელიწადში ნაცვლად 9 ნომრისა. რედაქციასთან ყოველთვიურად მოეწყობა ჟურნალის თანამშრომელ მწერალთა საწარმოო თათბირი ჟურნალის სამუშაო გეგმისა და დაბეჭდილ მასალების განსახილავად.

ნოემბერში სრულდება ათი წელი ჟურნალ „მნათობი“-ს პირველ ნომრის გამოცემიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად რედაქცია გამართავს ლიტერატურულ საღამოს, დაბეჭდავს „მნათობის“ ნომრების ბიბლიოგრაფიას და გამოსცემს ამხ. ვალ. ბახტაძის, როგორც ჟურნალ „მნათობი“-ს პირველ რედაქტორისა და ერთ-ერთ დამაარსებლისა, წერილებს ლიტერატურის შესახებ.

მუშაობა ახალგაზრდა ლიტერატურულ კადრებთან

საქ. მწ. კავშირში მოეწყო განსაკუთრებული განყოფილება ახალი ლიტერატურული კადრების მომსახურებისათვის. განყოფილებას ხელმძღვანელობას გაუწევს ამხ. ბესო ჟღენტი. განყოფილებაში მუდმივად იმუშავებს ლიტერატურის მცოდნე კონსულტანტ - მეთოდისტი.

გარდა ამისა, ჟურ. „მნათობი“-ს მიერ ახალგაზრდა კადრების კონსულტანტად მოწვეულია ლეო ქიაჩელი, ხოლო „ლიტ. გაზეთის“ მიერ ირაკლი აბაშიძე.

უცხოელი მწერლები ჩვენში

ოცდაექვს სექტემბერს ჩვენში ჩამოვიდენ უცხოელი მწერლები—გერმანელი დრამატურგი ერნსტ ტოლერი, თეოდორ პლივიე, ა. შარერი, ოსკარ გრაფი, ბალდენ ოლგენი, ბრენშტეინი, რაფაელ ალბერტი და მარია ტერეზა ლიონი. სტუმრებს ჩამოჰყვა ცნობილი რუსი მწერალი ს. ტრეტიაკოვი.

26 სექტემბერს ქართველ მწერლებთან ერთად უცხოელი სტუმრები გაემგზავრენ კახეთში და დაესწრენ ალავერდობას.

28 სექტემბერს დელეგაცია დაბრუნდა ტფილისში. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სახალხო დღეობამ. განსაკუთრებით—შშაველთა და ხევსურთა მიერ ურთიერთ შორის ლექსებით გასაუბრებამ და ზოგიერთი მოხუცი გლეხის მიერ ზეპირად წარმოთქმულმა ვეფხის ტყაოსანმა.

დელეგაცია 28 სექტემბერს ბათომით გაემგზავრა უცხოეთში.

კურიოზების ქრონიკა

მომავალი ნომრებიდან ჩვენ გაზეთში გაიხსნება განყოფილება „კურიოზების ქრონიკა“. ველით მკითხველთა და ავტორთაგან ცნობებს კულტურულ ფრონტზე, შემჩნეულ სხვადასხვა კურიოზულ ფაქტების შესახებ, რომლებიც ღირსია საზოგადოებრივი გაკიცხვისა.

„ლიტ. გაზეთის“ საწარმოო თათბირი

2 ოქტომბერს დღის 2 საათზე „ლ. გ.“-ის რედაქციის ბინაზე შესდგება გაზეთის მორიგი საწარმოო თათბირი. განხილულ იქნება გამოსული ნომერი და მომავალი ნომრის გეგმა. ავტორებს და თანამშრომლებს სთხოვენ გამოცხადდენ დაუგვიანებლივ.

ახალგაზრდა ავტორების თათბირი

3 ოქტომბერს საღ. სრულ 7 საათზე „ლიტ. გაზეთის“ რედაქცია იწვევს გაზეთში თანამშრომლობის მსურველ ახალგაზრდა ავტორების და გაზეთის ახალგაზრდა მუშაკთა თათბირს.

რედაქცია მუშაობს ყოველ დღე (გარდა გამოსასვლელ დღისა) დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე. ავტორების და მკითხველთა მიღება დღის 1 საათიდან 3-მდე.

რედაქტორი: პლატონ ძიძოძე

გამომცემელი „ლიტ. გაზეთის“ გამომც-ბა

„ლიტერატურული გაზეთი“ პირველი ოქტომბრიდან გამოვა თვეში 5 ნომერი 6 გვერდიანი. საცალოდ გასაყიდი ფასი 30 კაპ. ხელისმოწერთათვის თვიურად 1 მ. 25 კ.

მარჯანიშვილის სახ. თეატრი 1934—35 წლის

რეპერტუარი

შალვა დადიანი—სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი (ლ. არდაზიანის მოთხრობის მიხედვით).

პოლიკარპე კაკაბაძე—ბახტრიონი.

ვიქტორ გაბისკირია—ურთა (სამეგრელოს გლეხთა აჯანყება).

ა. კორნეიჩუკი—ესკადრის დაღუპვა (თარგ. გ. ფრონისპირელის) (საკავშირო კონკურსზე პრემირებული).

გიორგი თაქთაქიშვილი—გათიშვა (საქ. კონკურსზე პრემირებული).

დირექცია

საქ. სახწიგნი

მიიღება ხელის მოწერა

ჩარლზ დარვინის

თხზულებათა სრულ კრებულზე.

კრებული გამოვა რვა წიგნად კალენკორის ყდით. გამოცემის ფასი 80 მანეთი. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს ათი მანეთი. დანარჩენი თანხა წიგნების მიღების დროს.

ხელის მოწერა მიიღება სახწიგნის პერიოდსექტორის წარმომადგენლებთან, პერიოდსექტორში (აღმასკომის ქ. № 7). და სახწიგნის მაღაზიებში.

ა/ქ. სახვაჭრობის ანტიკვარული მაღაზია

(კომინტერნის ქ. № 5)

იღებს ძველ მხატვრულ ნივთებს: სურათებს, იარაღს, ქსოვილს, ნოხებს, ბრონზს, ბრინჯაოს, ფაიფურს და ყოველგვარ ისტორიულ თუ საეკლესიო განძეულს.

მაღაზიასთან არსებობს სამხატვრო სახელოსნო, რომელიც დაკვეთით ამზადებს საიუველირო ნაწარმოებს, აგრეთვე ორდენებს, ჟეტონებს და სხვადასხვა ნიშნებს.

დაკვეთები თავის დროზე სრულდება ხელმისაწვდომ ფასებში.

მთავლიტის რწმუნებული № 8301. ცეკავშირის სტამბა, პუშკინის ქუჩა № 3. დაკვ. № 955.